

გამოცემა ვერა გაგუასი.

საფრანგეთის ბრძენი

ვლასე კასპალი.

მისი სხურავი და შრომა.

რუსულიდვან თარგმნილი.

ლადი გაგუას-მაჟა.



თ ფ ი ლ ი ს ი.

მსწრ. ფლ-მბეჭდავი „ძმობისა“ მოსკოვის ქ. № 5.

1908 წ.



ବୀରମନାଥ

გამოცემა ვერა გაგუასი.

საფრანგეთის ბრძენი

ვლასე პასპალი.

მისი სხოვრისა და შრომა.

რუსულიდგან თარგმნილი

დადა გაგუას-მიკო.



თვილისი:

მსწრაფლ-მბეჭდავი „ძმობისა“ მოსკოვის ქ. № 5.

1908 წ.

ვუძღვი

ჩემს საყვარელს და ძვირფასს მას

დავით ხ.



მეირფასო და ლეთის მორწმუნე

ძმაო დავითი.

მეჩვიდმეტე საუკუნის შესანიშნავი ბრძენი საფრან-
გეთისა ვლასე პასკალი და მისი ცხოვრება ცხადად გვი-
ჩვენებს, რომ დიდი სწავლულნი და მეცნიერნი თავის
დღეში არ ყოფილან ლეთის უარ-მყოფელნი, პირ-იქით,
ეძიებდნენ და თაყვანსა სცემდნენ ლმერთს, როგორც
დასაბამის დასაწყისსა... მაშ ვინ არიან ისინი, რომელ-
ნიც ასე კადნიერად და ხმა მაღლა უარ ჰოფენ ლმერთს?
უთუოდ ისინი, ვინც ცოდნასა, გავითარება და გონიერებას-
თან მწყრალად ბრძანდებიან!... გულით მწყურია, რომ
ასეთი ადამიანები ცოტა დროს მოახმარდნენ ამ წიგნის
კითხვას და დააკვირდებოდნენ მისს შინაარს; ვინ იცის,
ეგებ მათი დაობებული და ურწმუნობით ავადმყოფი
სული დაადგეს სინათლისა და ცხოვრების გზაზე—და ეგ-
ხომ შეადგენს შენს ნატვრას, რომელსაც მე, შენი უმ-
ცროსი ძმაც, დიდად თანავუგრძნობ.

შარადის შენი ძმა ლადი გაგუა.

20 დეკემბერი 1900 წელს.

ს. კოტიანეთი.

ნაწილი პირველი

პასკალის ცხოვრება.

პლაკე პასკალი დაიბადა საფრანგეთის ქალაქ კლე-
ნტონტრში 19 ოქტომბერს 1623 წ. იმისი მამა იყო ერთი
გამოჩენილი სახელმწიფო მოხელეთაგანი. დედა ძალიან
აღრიც მოუკვდა ვლასეს, ცოლის სიკვდილის შემდეგ მა-
მას დარჩა ორი ქალი და პატაწინა სამის წლის ვლასეს.
მამამ გადაწყვიტა, რომ თავიდან არ მოეშორებინა და
მუდამ თან ჰყოლოდა ეს მისი ერთად ერთი ვაჟი. ვლა-
სეს მამა იყო განათლებული კაცი, მეცნიერებაში სახელ-
განთქმული სწავლული და ამიტომ მას ადვილად შეი-
ძლო უსკოლოდაც ესწავლებინა შეილისათვის უკეთე-
ფერა, რაც საჭირო იყო. ბავშვა პირველ ხანებშივე
ისეთი ხალისით მიჰყო ხელი მეცნიერების შესწავლის,
რომ მამა იძულებული შეიქნა ხანდახან შეეჩერებინა
იგი - პირველად, მაშინდელ ჩვეულებისამებრ პასკალმა
შეიტანა დაუწყო ლათინურისა და ბერძნულ ანბანის შე-
სწავლა. პატარა ვლაშე მშვენიერდ სწავლობდა ძველს
ენებს, მაგრამ, როგორც ნიჭიერი ბავში, აღრევე მიხვდა,
რომ შესწავლა ისეთის ენებისა, რომლებზედაც მოელს
სიცუცხლეში არ მოუხდებოდა ლაპარაკი, მხრილოდ გო-
ნებას დაუჩლუნგებდა. ხშირად, როცა გაჭველილებს მო-
რჩებოდა, ეხვეწებოდა მამას, — ემბა მისთვის ესა თუ ის
მოთხოვთდა. მამა უამბობდა და შვილი მეტის სიხარბით
უსმენდა, თუმცა წად და უწუმ შეაყენებდა ხოლმე მას

ასეთი კითხვებით: „მერე რატომ არის ეგ ასე? რისთვის ზღვა
ბა ასე?“ რაც მას ესმოდა, ან რასაც ხედავდა მისს გარშე-
მო, პატარა ვლასეს სწყუროდა გამოეცნო და გაეგო იმი-
სი უმთავრესი მიზეზი. ბოვშის ცნობის მოყვარეობა ისე
ძლიერი იყო; რომ იყო ვერ დამშვიდლებოდა, სანამ ვერ
იპოვნიდა მისი მტანჯველ კითხვების პასუხს.

ხან და ხან მამას ეძნელებოდა, ან დაეზარებოდა
შვილის კითხვებზე პასუხის მიცემა და უპასუხოდ ტო-
ვებდა. უნდა გენახათ, თუ რა რიგად ნალვლიანდებოდა
მაშინ ვლასე!... ჩაფიქრდებოდა, გაიპარებოდა საღმე კუ-
თხეში, არავის არ ელაპარაკებოდა და მთლად გატაცე-
ბული იყო ფიქრებით, სანამ საკუთარი ჭკუით არ გაი-
გებდა იმას, რაც მამას არ შეეძლო, ან არ სურდა ამსნა.
როცა ვლასე გაიგებდა საქმის ვინაობას სხვის შეუწევ-
ნელად, წამსვე დაეკარგებოდა ნალვლიანობა, ისევ გა-
მხიარულდებოდა და ხელ-ახლა სთხოვდა მამას ეძმია
კიდევ ახალი რამე მისთვის. ერთხელ საღილობის დროს,
ვიღაცამ დანა დაკვრა თხელ საქსონის (ესროერის)
თეფუშს; თეფუში აწკრიალდა, მაგრამ, როცა ხელი მოჰკი-
დეს, წკარუნი შეწყდა. პატარა პასკალმა მაშინვე კითხა
მამას: „რატომ აწკრიალდა თეფუში? — რა მიზეზით შე-
სწყდა წკარუნი?“ მამამ, როგორც იყო, აუხსნა ამის მი-
ზეზი, მაგრამ ასეთი ახსნით შეიღლი უკმაყოფილო შერქნა
და ღრმად ჩაფიქრდა. ნასაღილეს დაიწყო მან სიარუ-
ლში ოთახებში: თვითონეულს წივთს სინჯავდა, აკაკუნებ-
და და ბეჯითად ყურს უგდებდა. ასეთი კვლევა-
ძიებით დიღხანს მეტადინობდა იგი დაბოლოს დამშვიდ-
და: აიღო კალამი და ჩასწერა კველაფერი, რაც შენი-
შნა. როდესაც ეს შენიშვნები წაიკითხა მამაშ, განკური-
და: აღმარინდა, რომ ბავშვს სხვის შეუწევნელად გამოეც-

ნო ის ხმის წარმოშობის უმთავრესი მიზეზები, რაც მა-
შინ მეცნიერებმაც არ იცოდნენ. ვლასემ გამოიცნო,
რომ ხმა არის რაიმე ნივთიერების ნაწილთა შერხევა,
რომელიც აღწევს ჩვენ ყურამდე ჰაერის შემწეობით-
პასკალი იყო ამ დროს მხოლოდ თორმეტის წლისა.

ვლასეს მამას განსაკუთრებით ტყვარდა აგომე-
ტრია. “ხშირად მათთან თავს მოიყრიდნენ მისი მეგობრები,
მეცნიერებიდა გამართავდნენ ხოლმე მუსაიფს ამ მეც-
ნიერების სხვა და სხვა კითხვებზე. პატარა ვლასე ყო-
ველთვის დაესწრებოდა შათ, გულს მოდგინედ აღვნებ-
და თვალ-ყურს ყველაფერს და ხშირად შეაწყვეტინებდა
მეცნიერებს მსჯელობას ჩვეულებრივი კითხვებით: „მე
რე რატომ, ან რისრვის პრის ეგ ასე?“ როდესაც მამაშ
შეამჩნია შვილს „გეომეტრიის!“ შესწავლის ასეთი მაზრა
დულება, აღუკრძალა მას შესვლა იმ ოთახში, სადაც
თავს იყრიდნენ მეცნიერი მეგობრები. ასე იმიტომ მო-
ქეცა მამა, რომ ჯერ ერთი, მისი ფიქრით; გეომეტრიის
სწავლა შვილისათვის იყო ნააღრევი და მეორეც, — და-
უშლიდა მას ეს საგანი სხვა საგნების რიგიანად და სა-
ფუძვლიანად შესწავლას, ამისათვის ყველა ეს მათემატი-
კური წიგნები, რომ შვილს არ ჩავარდნოდა ხელში,
მას შენახული ჰქონდა დაკეტილში. მამის ასეთი საქუ-
ლი ძლიერ აწუხებდა შვილს და უხვეწებოდა ის მაინც
აეხსნა, თუ რა მეცნიერებაა გეომეტრია და რას ასწავ-
ლის იგი? რომ თავიდან მოქმედობინა შვილი, მამამ
სიჩქარით აუხსნა მას, თუ რას ასწავლის გეომეტრია და
თან სასტიკად აღუკრძალა თავის დრომდე ამ მეცნიერე-
ბაზე ფიქრი. ზაფში დამორჩილდა მამას, დაიმშვიდა გუ-
ლი და უარ-ჰყო ამ მეცნიერებაზე მსჯელობა, ანუ ყუ-
რის გდება უაკცეფლების შემდეგ ვლასეს ბევრი თავი-

შუთალი დრო რჩებოდა; მერე რა უნდა ექნა და რო-
გორ უნდა მოეხმარა ეს დრო? არავითარი საბავშო გა-
სართობი და სათამაშო მას არ უყვარდა და, ძალაუნე-
ბურად, დიაწყებდა ფიქრს იმაზე, როც აღკრძალული
ჰქონდა. ოოცა გაკვეთილებს მორჩებოდა, აიღებდა ხელ-
ში ნახშირის ნაკერს, წავიდოდა ოომელიმე შორეულსა
და ცალკე ოთახში და იქ, იატაკზე, ან ფანჯრის თახ-
ჩაზე ხაზავდა ზეპირად სხვა და სხვა გეომეტრიულ ნა-
კვეთებს: სიმრგვლეს, სამკუთხს და სხვებს. ამ მისგან და-
ხატულ ნაკვეთებს რა სახელი ერქვა მეცნიერებაში, ეგ
ვლასებ არ იცოდა, მაგრამ ეს მას არ აბრკოლებდა:
თვითონ იგონებდა მის მიერ გაკეთებულ ნაკვეთების სა-
ხელებს. მაგალითად: სიმრგვალეს მან უწოდა გროლი,
ხაზს—ზოლი და სხვა. ასეთს მეცადინეობაში გაროულს
ვლასებს ერთხელ უეცრად თავს დაადგა მამა და, ოოცა
დაინახა ნახშირით დახაზული კედელი, საშინლად გა-
ჯავრიდა და ის-ის იყო უნდა გაელახა კიდეც, მაგრამ
განცვიფრებული და შეშინებული შექერდა უეცრად: მან
შეამჩნია კედელზე ისეთი სწორი გეომეტრიული ნაკვეთე-
ბი, ოომლების დახატვა შეეძლო მხოლოდ ნასწავლს
კაცს. გასინჯა ისინი და მის და განსაცვიფრებლად, და-
ტრმუნდა, ოომ მისს შვილს სხვის შეუწევნელად და უს-
წავლებლად, თავის თავად, ექსსნა ერთი უდიდესი გეომე-
ტრიული წინადადება—ჯაში სამკუთხის კუთხეებისა
შეადგენს ორ მთელს კუთხეს,— ოომელიც ახსნილა ქონ-
და შესანიშხავ მეცნიერს ევალიდას. ამ აღმოჩენით გა-
კვირვებული მამა გაიქცა ერთ მის მეგობართან და ძა-
ლეთ შეგროვყანა შრი. მეტის აღელვებისაგან მამა ტირო-
ცა. „რა მოგივრცია კაცი?“ დაეკითხა მეგობარი. „სი-
ხარული მატირებს.“ მიუგო მან თქვენ კარგად იცით.

რამდენს ვუშლიდი და ვუკრძალავდი ჩემს პატარა ვლა-
სეს გეომეტრიის აღრე გაცნობას, რადგანაც, ჩემის ფი-
ქრით. ამ საგნის ლდროვოდ შესწავლა ავნებდა მას სხვა
საგნების შესწავლაში; მაგრამ აბა ერთი შეხედეთ, რა-
უქნია!.. მეგობარს ძლიერ მოეწონა პატარა პასკალის
ნახატები; დაუწყეს მეგობრებმა სინჯვა და სრულიად
დარწმუნდნენ, რომ ბავშვს გახსნოდა დიდი ნიჭი სამათე-
მატიკო მეცნიერებისა. ამ დღიდან, რასაკვირელია, ნება
მიეცა მას გეომეტრიაში მეცადინეობისა. მამამ გააღო
შქაფი, გამოალაგა მისი სამათემატიკო წიგნები, ჩააბარა
შვილს სრულს მის განკარგულებაში და მიანიჭა თავი-
სუფლება — ესწავლა ყველაფერი, რაც მას სურდა. დი-
დის გულმოდგინებით დაეწაფა პატარა ვლასე წიგნებს,
კითხულობდა იმათ აღტაცებით და უმასწავლესებლოდ
მცირეოდნადაც არ ეძნელებოდა იმ წიგნების შინაარსის
გაგება. მეთუთხმეტე წელში მან იმდენი წარმატება გა-
მოიჩინა გეომეტრიაში, რომ შეადგინა შესნიშნავი თხზუ-
ლება — „კონუსური განპობა“, რომელმაც ვლასეს მოუ-
ხვეჭა სახელი მეცნიერთა შორის. ორის წლის შემდეგ
მან გამოიგონა საანგარიშო მანქანა. მთელ ორ წელი-
წადს მუშაობდა იგი მის მოწყობა — გამართვისათვის;
თვითონ მონაწილეობას იღებდა თსტატებთან, რადგან
მათ არ ესმოდათ ეგ საქმე და პასკალის უჩვენებლად,
მარტო ნახატებით, ვერას გახდებოდნენ. როგორც თუ
დაამთავრეს მანქანა, რომელმაც შეტის მეტად გააკვირა
მნახველები. ამ მანქანის მოწყობილება ძლიერ როუ-
ლია, — მისი შემწეობით სრულიად უვიც კაცაც შეუ-
ძლია სისწორით გამოივლა ყოველგვარ ანგარიშისა; შე-
უძლია თოხივე არითმეტიკული მოქმედებაზე წარმოება;
— თქმასას უნდა რომ ეს მანქანა, როგორც ერთობ

რთული, შეტად ქვირი ჯდება, და თვითონულის პდამია-
ნისათვის გამოსადევიცარ არის; მაგრამ გამოგონება
შანქანისა ჭაბუკობის პირველ ხანებში გამომგონს უმტკი-
უბს შესანიშნავ მოსაზრებას, და ის გულ-მოდგინება,
როგორითაც იგი მუშაობდა შანქანის მომზადების დროს,
ნათლად გვიჩვენებს მის ხასიათის სიძლიერეს.

II

ასე სცხოვრობდა და იზრდებოდა მეცნიერებით გა-
ტაცებული პასკალი, მაგრამ ავადმყოფობა არ აძლევდა
მას მოსვენებას. დიდა და ძლიერ კუუასთან მას დაყვა
სუსტი და უძლური სხეული. ავადმყოფობა თექვსმეტო
წლიდან დააწყებინა, და სიკვდილამდე სრული ჯანსაღი
არას დროს არ ყოფილა: ისე დღე არ გაივლიდა, რომ
პასკალს რაიმე ტკივილი არ ევრძნო; მაგრამ საქმეც ის
არას, რომ ეს გამუდმებული ავადმყოფობა ვერ უშლი-
და მას სწავლას. როგორც იშვიათი და ძლიერის ნების
მექანი დიდის მოთმინებით იტანდა ავადმყოფობასა და
არას დროს ქრ უჩივოდა მას. ასეთს მდგომარეობაში
მან მიაღწია ოცდა სამ წლამდე; ამ დროს პასკალმა
უფრო დიდი სახელი და დიდება მოიპოვა. მეცნიერება
შორის, ვლასეს დაბადებიდან თუნ დაყოლილი ჰქონდა
სურვილი, რომ ეპოვნა ყოვლისფრის მიზეზი, რასაც
დაინახავდა, ან გაიგონებდა და, აი ეე სურვილი, ჩვეუ-
ლებად ქცეული, წლითი წლამდე ეზრდებოდა და უძ-
ლიერდებოდა მას იმავე დროს მან უურადღება მიაქცია
ერთს საქმეს, რომელსაც მასზე დიდი ხნით ადრე არჩევ-
დნენ და წყვეტდნენ შესანიშნავი მეცნიერები. პასკალს
უგ გამოურკვეველად ქვევნა და ხელმეორედ დაუწყო გა-

რჩევა: ახსნა უწინდელ მეცნიერების შეცდომა, დაასრულა ერთი მათგანის შრომა და მით შეიტანა შეცნიურებაში შემდეგი ახალი და თვალსაჩინო აღმოჩენა.

ვინ იქნება იმისთანა, რომ არ იცოდეს, თუ რა ნაირად ამოაქვთ კიდან წყალი? — თხრიან ორმოს, სანაც წყალი აღმოჩნდებოდეს, შემდეგ აკეთებენ ტუმბოს, ან წყლის საქანელს, ერთი სიტყვით, წყალში ჩაუშვებენ სასდუნს, ანუ მიღს. მიღმი უყრიან ფოსტალს, რომელსაც გაუკეთებენ სარწებელთან. ქანების დროს ფოსტალი დადის ჭევით და ქვევით ტუმბოში და ამოაქვს წყალი; შემდეგ ტუმბოში მიკეთებულ ხერელიდან ისხმება რაიმე ჰურჭელში. პირველის შეხედვით საქმე უბრალოდ მოეჩენება ადამიანს, და ამნაირად კიდან წყლის, ამოღება ყველას შეუძლია; მაგრამ რატომ არის, რომ წყალი ღრმა რომოდან ამოღის ტუმბოში, თოთქო ფოსტალს ამოქმნდეს იგიო? ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ბევრისთვის აღვილი არ არის. — ჯერ კიდევ პასკალის დაბადებამდე ღიღის ხნის წინად მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ ეგ კითხვა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ არ როგორ განმარტეს იგი: როცა ფოსტალი ამოღის ტუმბოში ზევით, მაშინ წყლისა და ფოსტლის შეა რჩება ცალიერი აღგილი; წყალი, როგორც ყოველგვარი სხვა ნივთიერება, ველაზ ითმენს მის მახლობლად ცალიერს ალაგს და ამისთვის იგი იკავებს ამ სიცალიერეს. აპა მიზეზი, რომელიც, მეცნიერების ფიქრით აიძულებდა წყალს ამოყოლოდა ტუმბოში ფოსტლის წვერამდე ასე ეგონათ პასკალის დროშიც. იმ დროებით ურთიმდებლიდარმა კაცმა განიზრახა გაეკეთებინა. თავის ბაღში შადრევანები და ამიტომ მოიწვია საუკეთესო რსტატები, შადრევანებისათვის უნდა გაუკეთებინათ მიღები გაშორების გადასაცემა.

რებით უგრძესი, ვინემ უბრალო ჭებისთვის, სახელდობ. ოცი ადლის სიგრძე. როცა ჭაში ჩაუშვეს ტუმბო, ოსტატებს ეჯონათ,—წყალი ამოვიდოდა მილის წვერამდე. მაგრამ მოტყუფდნენ; წყალი ამოვიდა შხოლოდ თუთხმეტ ადლის სიმაღლეზე და მეტზე კი აღარა. რამდენს ეცალნენ და ეწვალნენ ოსტატები, მაგრამ საქმეს ვერაფერი უშველეს, —წყალი გაჩერებული იყო ერთსა და იმავ სიმაღლეზე. შეწყვიტეს მუშაობა და მიმართეს თხოვნით მაშინდელს მეცნიერებს, რომ მათ აეხსნათ მიზეზი ასეთის შემთხვევისა. ეს ის დრო იყო, როცა მეცნიერთა შორის თვალ საჩინო ალაგი ეჭირა გალილეის (რომ მელმაც პითაგორე და კოპერნიკის აზრი გაიმეორა. და დაამტკიცა, რომ მზე კი არ უვლის დედამიწას გარშემო, არამედ თვით ეს უკანასკნელი ტრიალებს); მაგრამ იგი იყო ღრმად მოხუ(კებული და ნამეტანი შრომა და აუტანელი ცხოვრების პირობებისაგან სრულიად დაქანცული სხეულითაც და გონებითაც. სხვებთან ერთად გალილეიც ამტკიცებდა, რომ ტუმბოში წყლის ამოსვლის მიზეზი ის არის, რომ ვერავითარი სხეული ვარ ითმენს სიცალიერესათ. აი ამ გალილეის სთხოვეს აეხსნა თუთხმეტ ადლის სიმაღლეზე წყლის შეჩერების მიზეზი. გალილეიმ არ იცოდა, რა პასუხი მიეცა, და უპასუხოდ დატოვებაც უხერხული იყო. ამიტომ გალილეიმ მიმართა ერთს მის უკეთესს მოწაფეს, ტორტიჩელს, და სთხოვა აესწნა. ეგ კითხვა.

ოორრიჩელმა დაიწყო კვლევა-ძიება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი ძველი მასწავლებელი და ყველა სხვა ძველი მეცნიერები შემცდარნი იყვნენ. იგი დარწმუნდა, რომ წყალი ტუმბოში ზევით მარტო იმიტომ კი არ ამოდიოდა, რომ ვერ იამენდა მის მახლობლად

სიცალიერებს; არა, აქ არსებობდა უფრშო სხვა მიზეზი,
სახელლობ ისა, რომ ჰაერს აქცე სიმძიმე, ან ამ სიმძიმით
აწვება იგი წყლის ზედა პირს და მიღენის მილში, რო-
მლისაგან ჰაერი გამოწურულია. ტორჩიჩელმა დაამტკი-
ცა, რომ ჰაერი მხოლოდ გარედან აწვება წყალს ყო-
ველ მხრით და შიგნით მილში კი არა და; მაშასადამე,
სდევნის წყალს ზევით მილში, რომელშიაც ფოსტლის-
ქვეშ ჩნდება უჭხვრო, ცალიერი ადგილის სამწუხაროდ,
ტორჩიჩელი მალე მოკვდა და არ დასცალდა გაევრცა-
ლებინა ეს, მის მიერ აღმოჩენილი, კეშმარიტება. შემ-
დევ მისი აზრი გაიგეს მხოლოდ ზოგიერთებმა და იმ:
შეირთო გუნდში ერთი პასკალიც. თა მან მოჟკიდა ხე-
ლი. იმ საქმეს და დაასრულა კიდევ გარდაცვლილ შე-
ცნიურს აღმოჩენა; დაიწყო კვლევა-ძიება; ბევრი დროი
და შრომა მოანდომა ამ საქმეს, მაგრამ ბოლოს მაინც
გაიმარჯვა: დასწერა თხზულება ჰაერის სიმძიმე, არა-
შელშიაც დაამტკიცა. ტორჩიჩელის აზრი და თვითონაც
ბეჭრის რამ ახალი აღმოაჩინა ამ საგნის შესახებ. პირ-
ველად ყოვლისა პასკალმა დაამტკიცა, რომ ჰაერი, რო-
მელსაც წვენ ვსუნთქავთ, არ არის სიცალიერე, — არა
მედ არის მძიმე ნივთიერებაზე რომელიც ყველა ჩვენთა
განს შეუძლია ასწონოს, მხრილოდ სისწორო უნდათყოს
ძლიერ შერთალი, ან სწორი. ჰაერის ასწონად აი რო-
გორ იქცევიან; აიღებენ შუშის ბურთს, რომლიდან
სრულიად გამოდენიან ჰაერს, შემდევ ნმ ბურთს აწო-
ნიან ჭაბურზე; და შემდევ ცალიერ ბურთში ისევ ჩატე-
მვებენ ჰაერს და ხელმეორელ აწონიან ფიამოდის, რომ
ჰაერ ჩა შეკეტულ ბურთი მეტს იწონის, რიმდენსაც მეტს
მატუბატებთ ბურთში. ჰაერს, იმდენადულ მატულობს, ბურ-
თის სიმძიმეც თუ ასეთი მცირე რაოდნენობა ჰაერისა და

ჩნდება სასწორის; წარმოიდგინეთ, რა მძიმედ უნდა აწვე-
ბოდეს მთელი ჰაერის სიმძიმე დედამიწის ზურგს? მთე-
ლი ჰაერის სიმძიმე ისე დიდია, რომ მისი ამწონი სას-
წორი არ მოიპოვება ქვეყანაზე. როგორც წყალი ტბა-
ში, ან მდინარეში მთელი მისი სიმძიმით აწვება ფსკერს,
სწორედ, ამნაირადვე ჰაერიც მთელი მისი სიმძიმით
აწვება დედა მიწის ზედაპირს. როგორც წყალი ზღვაში,
ან ტბაში ყოვლის მხრით აწვება თევზებსა და ყველა-
ფერს, რაც კი წყალშია, მსგავსადვე ჰაერიც აწვება
ყოველ მხრიდან აღამიანებს და ყველაფერ მას, რაც
არსებობს დედამიწაზე. როგორც თევზი წყალში არა
გრძნობს წყლის სიმძიმეს და აღვილად დასცურავს მის
ჸილრმეში, სწორედ ასე ხდება ჩვენს ცხოვრებაშიაც:
თუმცა ჰაერი ჩვენ ყოველ მხრიდან გვარტყია, მაგრამ
ჩვენ ვერა ვგრძნობთ მის სიმძიმეს და აღვილად გადავ-
დივართ ერთი ალაგიდან მეორეზე. როგორც მდინარე-
ში წყალი თვისის სიმძიმით ვერ გაკულებს მის ძირზე
მოსეირნე თევზს, ისე ვერც ჩვენ გვკულებს ჰაერი, თუმ-
ცა მისი სიმძიმე საოცარია. მეცნიერებმა უკვე გამოიან-
გარიშეს, რომდენს იწონის ის ჰაერი, რომელიც ყოველ
მხრიდან აწვება აღამიანს. აღმოჩნდა, რომ აღამიანის
სხეულის თვითონეულ ოთხ-კუთხ გოჯზე ძევს თუთხმე-
ტი გირვანქა ჰაერი და, მაშასადამე, მთელ სხეულზეკი-
ოც და ათი ათასი გირვანქა, ან შვიდას ორმოცდა ათი
ფუთი. პირველ შეხედვით დაუჯერებელ ზღაპრად ეჩვე-
ნება ეს აღამიანს, მაგრამ ეს სრული კეშმარიტებაა.
რომ ავწონოთ მდინარეში წყალი, რამოდენიმე ასი და
ათასი ფუთი გამოვა, მაგრამ თვითონეული თევზი სრუ-
ლიად უვნებელია ამ სიმძიმისაგან. რაც თევზისათვის
წყალია, აღამიანისათვის ჰაერიც ის არის. იქნება იქ-

თხოთ, ეგ რატომ არის, რომ მუშას ორი-სამი ფური
ტვირთი მეტი ავკიდოთ; ფეხსაც ვერ გადადგამს ადგინ-
ლიდან და 750 ფური ჰაერის ქვეშ ადვილად სეირნობს
და ვერც კი ამჩნევს ასეთს სიმძიმესა? ეგ იმიტომ, რომ
ტვირთის სიმძიმე მუშას აწვება მხოლოდ ერთის მხრით,
ჰაერი კი ჩვენ ყოველ მხრით თანასწორად გვარტყია
ისე, როგორც თევზსა წყალი. გარდა მისა ადამიანს
შიგნითაც აქვს ჰაერი, რომელიც ეთანასწორება გარეთა
ჰაერს და უშლის კაცის გაცყლეტას. ავილოთ ცალიერი
ნამჯა (ჩალის ლერი) და ერთი წვერით ჩაუშვათ წყლით
სავსე კიქაში, მეორე კი დავიტიროთ ხელში; ვნახავთ,
რომ კაქიდან წყალი არ ამოდის ჩალის ლერში. ეხლა
ჩაეიყოთ პირში ერთი წვერი ნამჯისა და ამოვწრი-
ტოთ ჰაერი; რა მოხდება მაშინ? — მოხდება ის, რომ წყა-
ლი დაიწყებს დენას ჩალის ლერში ქვეეიდან ზეცით და
პირში ჩაგვესხდება. რატომ ხდება ასე? ი რატომ: როცა
ნამჯის ერთი წვერი ხელში გვეჭირა, მაშინ ჰაერი აწვე-
ბოდა წყალს ორივე მხრით, ზევიდან და ქვევიდან: კი-
კის ზედა პირიდან და ჩალის წვერიდან და ამიტომ
წყალს არ შეეძლო ამოწვეა. მაგრამ, როცა ერთი წვე-
რი ჩავიდევით პირში და მისგან ჰაერი ამოვწურეთ, მა-
შინ ჰაერი მოაწვა წყალს მხოლოდ ქვევიდან და ამოი-
ტინა ზეცით, რადგან მანდელან ჰაერი არ აწვებოდა.
სწორედ ეგევე ხდება წყლის ტუმბრში. სანამ მას არ
არწევენ, ჰაერი აწვება წყალს ზევიდან და ქვევიდან —
კის ზედა პირიდან და მილის შიგნიდან და წყალი არ
ამოდის. მაგრამ როცა დაუწყებენ რწევას, მაშინ ფო-
სტლის ქვეშ ჩნდება უჰაერო ადგილი და მაშ ზევიდან
დავერა წყდება და წყალიც ამორბის კიდან მილში.
ტორტიჩიელის აღმოჩენის შემდეგ, რაღა თქმა უნდა,

პასკალს არ გაუჭირდებოდა გუფგო და აეხსნა, რაც ძველმა მეცნიერმა გალილეიმ ვერ ახსნა, ესე იგი, რატომ არ სცილდებოდა მიღმი წყალთ თუთხმეტ ადლის სიმაღლეს. აქაც ის ხდება, როგორც სასწორში: როცა თვითეულ მის ჯამზე თანასწორი სიმძიმე აწყვია, მისი უდელი არ გადიხება. არც ერთსა და არც მეორე მხარეს. რო ავაგსოთ მიღმი წყლით თუთხმეტი ადლის სიმაღლემდე და ავსწონოთ იგი, აღმოჩნდება, რომ ეს წყალი იმოდენს ინწონს, რამდენსაც ას ჰაერი, რომელიც აწვება წყალს ქვევიდან და, რადგანაც ზეგიდან და ქვევიდან სიმძიმე თანასწორია, დრომიტომ წყალი ჩერდება თუთხმეტ ადლის სიმაღლეზე. ჩამის გამო ყველა კებში ტუმბოებს აკეთებენ საზოგადოდ თუთხმეტ ადლზე ერთ მუხლით მოკლეს.

„ჰაერის სიმძიმე“-ს გარდა პასკალმა მრავალი სამეცნიერო წევნები დასწერა და მით შეიტანა მეცნიერებულში ბევრი ახლო და შესანიშნავი აღმოჩნა. 1647 წ. მან გამოსცა თხზულება — „ახალი კვლევანისტუნებაში სიცალიერის, შესახებ“ და 1653 წ. — „სითხლელეთა თანასწორობაზე“. ამათ გარდა მანვე გამოსცა თხზულება — „რიცხვთა რაოსებაზე“ (ი ცუშნით ცისელს) და „არით მეტი ული სამკუთხი“. ყველაზემ შრომაშ, რომლის რიგიანი დაფასება და აწონ დაწერნვა მხოლოდ მეცნიერებს შეეძლოთ, მოუპოვნ პასკალს დოდის მათემატიკოსის და ბუნების მეტყველის სახელი. ამავე დროს პასკალმა გამოიგონა ორი დიდი სასარგებლო მოწყობილება, რომ მელსაც ეხლა ხმარდენ სხვა და სხვა. სიმძიმეთა გადასაზიდად, ურთი იყო პატარა და მეორე უფრო დიდი და მოგრძო ხულ-ურემი (თავისი). პირველის დანიშნულება იყო ქვისა და მცირე სიმძიმეთა გადასაზიდვა და მეორესი

კი—უფრო დიდ სიმძიმისა. ჩვენს დროში პასკალის მი-
ერ გამოგონილს ურმებს ყოველგან ხმარობენ, კარგად
იცნობენ და უკვირთ კიდევა; ნუ თუ დიდი გამოგონი
ნიჭი იყო საჭირო ასეთი მცირე მოწყობილებათა გასა-
კეთებელადამ. დიახ პასკალის დრომდე არ იცოდნენ
ამ მოწყობილებათა ხმარება, რომლებიც დღეს ასე უმ-
სუმბუქებს მუშა ხალხს შრომას. ყოველივე ეს პასკალმა
მოასწრო ოც და ათის წლის შესრულებამდე. აი რა
ძლიერი ჰკუის პატრონი იყო და მეცნიერების ღრმა
სიყვარული ჰქონდა მას მონიჰებული! ჯერ კი უკვე ბევ-
რი დრო ჰქონდა პასკალს წინ სამეცნიერო ასპარეზზე სა-
მოლვაწეოდ, მაგრამ უცებ მოხდა მასში სულიერი ცვლი-
ლება, რომელმაც აიძულა გამოეცვალა შეხედულობა
და აზრი ცხოვრებაზე და მოეწყო იგი უწინდელისაგან
სრულიად განსხვავებულის წესით.

— ვლასე და მთელი მისი ოჯახის თითოეული წევრი
ღრმად გამსჭვალულ იყო ქრისტეს სარწმუნოებით; ამ
სარწმუნოებას ვლასე აღიარებდა. გულწრფელად, სრუ-
ლიად უბრალოდ, როგორც ბავში. 1646 წ., როცა
ვლასე იყო ოცდა სამის წლისა, მამა მისმა ძლიერ იტ-
კინა ფეხები. ამისთვის მოიწვიეს სახლში ორი ძვლის
გამსწორებელი,— ბუტელიერი და დელანდი, რომლე-
ბიც სარწმუნოებით იყვნენ მეჩვიდმეტე საუკუნის დასა-
წყისში მქადაგებელი იაქსენის მომხრენი. ავადმყოფის
აქიმობის დროს ისინი ცხოვრობდნენ ვლასეს მამის
სახლში და ხშირად მსჯელობდნენ, იმაზე, თუ რაში
უნდა მდგომარეობდეს ჰეშმარიტი. სარწმუნოება. წას-
ვლის ხანს იმათ აჩუქეს პასკალის ოჯახობას სასულიერო
შინაარსის რამოდენიმე წიგნაკი, მათ შორის იაქსენის
თხზულება— „გადაკეთება შინაგანი კაცისა.“ ეს წიგნი



წაიკითხა ვლასებ და მისმა შინაარსშა დიდი სულიერი ცვლილება მოახდინა მასში მოკლე შინაარსი ამ წიგნა-კისა შემდეგია: — აღამიანში არსებობს ორ ვეარი სურვი-ლი, რომლებიც აქენს მასში სხვა და სხვა ბოროტებას და აბრკოლებს იცხოვროს ქრისტეს მცნებისა მებრ. ერ-თი ამათგანი არის გემოთმოყვარეობა, რომლითაც ადა-მიანი მიისწრაფის ყოველგვარ ფუფუნებისაკენ და სურს ატაროს ტკბილი ცხოვრება: ჭამოს და სვას გემრიელად, ქონდეს ბევრი ფული, არ მოიკლოს არავითარი სიტ-კბოება, არც პატივი და დიდება და მრინობაში იყოლი-ოს ადამიანები. მეორე გულის თქმას ჭვია ცნობის-მო-ყვარეობა. ამისთანა აღამიანს ენატრება და სწყურია ყვე-ლაფერზი გაიგოს, გამოსცალოს, გაიცნას მთელი ლვთის გახენილი ქვეყანა მისის საიდუმლოებით. კარგად ვიცით, რომ ქვეყანაზე ბევრია ლორ-მუცელა ან გაუმაძლარი ხალხი; ამის მსგავსად მრავალია გაუმაძლარისა და ხარ-ბის ჭკუის პატრონიც, რომელნიც თავგამოდებით ცდი-ლობენ გაიგონ და ახსნან ყველაფერი, მაგრამ რისთვის, ეგ კი აღარ იციან: ისინი არიან ასეთ შრომაში მხოლოდ თავიანთ კმაყოფილებისა და თავის შექცევისათვის. აი, ამ ორს გულის თქმას უნდა ებრძოდეს ადამიანი დაუღალთ-ვად, ამბობს იაქსენი, თუ კი სურს იცხოვროს ქრისტეს რჯულზე და ემსახუროს ლმერთსა და არა მამონას. მაგ-რამ, სამწუხაროდ, აი რა ხდება თითქმის მუდამ ქამს: თუ კი აღამიანი მოერია პარველ გულისთქმას გემოთ-მოყვარეობას, მაშინ იგი ხდება მეორე გულისთქმის-ცნო-ბის მოყვარეობის მონად. ვოქვათ, უარ-ჰყო ადამიანშა ერთი მისი კერპი, — მუცელის სამსახური, იმ წამსვე შეუ-დგება ემსახუროს მეორე კერპს — ჭკუას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას ჰგონია და დარწმუნებულია, რომ იგი

մարտալուս, քյութ գանձ մուտքուս առա մայքս մռպրեմուլո, հռոմ մուտ ցազոցը և այենա պաշտությունը, ամեռնիս օցը. մագրամ առ, Եթոռեց, ամանուս աճամունուս Շեւըլոմա. զոնց ամ Ֆոմամը ց տապահեց լինոնն մուպարեցնաս, օցը ծցը-հուտ շուան առ համոռից ց ցըմութ-մռպահեց: ցըմութ-մռպահեց շուանը պաշտությունը Ըյիւռուս և սասուամունուն մուպրունուտքուս, լինոնն մուպարեց կո պաշտությունը ուս, հապ զեր այսենուս և զեր ցաղցուս մուսս ցաղմաժնար քյութս. ամ ռար ցար աճամունուտ Շոռուս գուգու ցանսեցազեց առ առուս: ցրուու ցմսաեղուրեց մուպրուս ցաղլուտքմաս և մեռնց կո քյութս ցաղլուտքմաս. հա տէմա շնճա, առու ցրուու առ առուս մարտալու, հաջան ուսդնու ցմսաեղուրեցնան մամմոնասա և առա լույրուտս:

Ցասյալու գուգու ցակարեցնալու ովու ամ ֆուգնակ մու ցարա-ընեցնա անրուս սոմարտլուտ. ցըմութմռպահեց օցը առուս դրուս առ պատուլա. ծաց՛շունա մուպ առ պահեցնա մաս առացուարու ցասարտուն և դրուս ցասաբարեցնելու, պահեցնա մեռլուն մեւնուցնեց. ցըմութմռպահեցնաս պահմպուտյուլմա, ման քածնակ մեյրինու տացուսու ացնեցնուցնա և սուլու պազելու ցար շնճատացան, մեռլուն մեւնուցնեցնասալմու մոնությու-լուցնա զեր մոյրուս; პորոյտ մեւնուցնեցնաս սուպահուլմա մտլու մեյրու օցը և սպալուն մաս ցւեռուրա լուտուս մսաեղուրեցնա յինուսուս հեցնեցնասամեծն. գույյուրու քասյալու և տէյա: յինուսուս პորոյտ մեւնեցնա ամեռնիս; • մեյրուցնա շոյալու լույրուտ մենու պազելուտա ցաղլուտ, մենուտա և պազելուտա սուլուտա մենուտա և պազելուտա ցոնցեցնուտա մենուտա, “ լու մոյրու: • մեյրուցնա մուպասու մենու, ցուտար-ւա տացու տցուսու: ” — մե եռմ ցուպունու ցւ, մագրամ ուց կո առ ցոյքուրունուս հարում մերյ? — մուրում, հռոմ քյունի ցաղլուտ- տքմիք գամածրմացա մե.

როდესაც გაიგო პასკალმა, რომ მას არ ყვარებია
არც ღმერთი ტქ არც ადამიანები და მხოლოდ მისი
ხარბი ჭკუის გულისთქმა უყვარდა, მაშინ გადასწყვიტა
პომორის იგი თავიდან, — მოსპოს სრულიად სამეცნი-
ერთ მაცადინობა და შესწიროს მთელი თავისი სული-
ერთ ძალა ღვთიურ კანონის გაცნობას და დაუმორჩი-
ლოს ამ კანონს მისი ცხოვრება. პასკალი ამბობს:
„ყოველი ცოდნა, რომელსაც მიზნად გაუხდია მხოლოდ
ჭკუის ძიების დაკმაყოფილება, უსარგებლო და შეუ-
ფერებელია ადამიანისათვის; — ჩემი უქმი ცნობის მოყვა-
რეობის წყალობით, რაც მეტს ცოდნასა ვიძენ, მით
უფრო ნაკლებად მესმის ჩემი საკუთარი თავი და ჩემი
მდგომარეობა ცხოვრებაში, — უფრო ნაკლებად ვიცი,
თუ რა უნდა გავაკეთო, ან როგორ ვიცხოვრო! სრუ-
ლიად უბრალოს და არაფრის მცოდნეს კეთილს ადამი-
ანს ეგ ბევრად უკეთ ესმის ჩემზე და სცხოვრობს უფრო
კანონისერად.“ ამის გამო პასკალმა უარჟყო სამეცნიერო
ძიება და ჩაუფიქრდა თვითონ ცხოვრებას. დაუწყო შეს
შესწორება და შედარება საკუთარ მის ცხოვრებასთან
და დარჩმუნდა, რომ მისი ცხოვრება ძლიურ შორის იყო
ღვთისა და მოყვესის სიყვარულის მცნებათაგან. როცა
პჩჩევდა ამ ნაირად საკუთხოში მისს ცხოვრებას, პასკალი
ამჩნევდა, რომ იგი დაებრმავებონათ გარეშე პირობებს
და ეზიზლებოდა ცხოვრება, რომელსაც იგი დღემდე არ-
რებდა. ღმერთო ჩემო, რა სარისხამდე შორის იყო მდი-
დრული მისი უწინდელი ცხოვრება იმ ცხოვრებიდან,
რომელიც გამომდინარეობს ღვთისა და მოყვესის სიყვა-
რულისაგან. ამ ღრმობიდან პასკალი შეუდგა ცხოვრების
გამოცვლას და ცდილობდა დაეახლოვებინა იგი ღვთის
ნებასთან.

უმცროსი და; რომელიც სხვებზე უფრო დაახლოვენ
შული იყო პასკალთან, თანაუგრძნობდა ძმის ასეთ აზრს,
თუმც იგი იყო ძლიერ ჭკვიანი და ლამაზი ქალი. და
ეძლეოდა მრავალი წარჩინებული, და მდიდარი საქმრო-
ნი, მაგრამ ყველას, უარი გამოუცხადა და შევიდა
მონასტერში. ოვით პასკალის მამა, ხანში შესული
ადამიანიც, დაემორჩილა შვილის გავლენას: იგი ხში-
რად ჩაფიქრდებოდა ხოლმე თავის ცხოვრებაზე, და
გამოიცვლიდა მას. ამ ნაირად ვლასებ გადასწუვიტა
ღმერთთან დასაახლოვებლად ზნეობრივის სისრულისაკენ
მისწრაფება. მაგრამ, სამწუხაროდ, პასკალის ავადმყოფო-
ბაც თან და თან ძლიერდებოდა. მას დაეკარგა ძილი
გაუფუჭდა ფეხები, ასე რომ ივი დადიოდა მხრილოდ
ყავარჯენით. არაფერი ცივის დალევა მას არ შეეძლო, —
მისი სასმელი უნდა ყოფილიყო თბილი და ისიც წვეთ-
წვეთად უნდა დაელია, რადგან მას სჭირდა ყელის
კრუნჩხეა. გარდა ამისა პასკალი საშინლად იტანჯებოდა
თავის. ტკივილით; მაგრამ, როგორც თვით პასკალი ამ-
ბობდა, ეს ტკივილი უშლიდა მხოლოდ სამეცნიერო
მეცადინეობის დროს, თორემ ეხლა, ზნეობრივ სისრუ-
ლისათვის. მუშაობის დროს, შველოდა კიდეც. მხოლოდ
ერთი რამ უწამლავდა პასკალს სიცოცხლეს, — ეგ იყო
ექიმები, რომელნიც მის ნათესავებს მოყავდათ და რო-
მელთაც მან თავი ვერ დააღწია. ექიმები უკრძალავდნენ.
პასკალს ყოფელგვარ გონებრივ მეცადინობა-შრომის
დროებით და ეუბნებოდნენ გარეოდა იგი საზოგადო
ებაში და თავი შეექცია. პასკალი ძალაუნებურად და-
მორჩილდა ექიმების რჩევას, და შეუდგა წინანდელ და-
ოცვებულ ნაცნობებში უქმ გართობის, შეუმჩნეველად

ჩიითრია უაზრო და ამაო ცხოვრებამ: მან დაიწყო ბან-
ქოს თამაში. მაგრამ ასეთმა უქმბა ცხოვრებამ უფრო
განცალკევებით დააყენა იგი და ჟიძული მკაცრად ჩაფი-
ქრებოდა თავის მდგომარეობას, და აი 1654 წელს პას-
კალმა, თითქო ძილისაგან გამოიტკვაო, უცებ და სამა-
რადისოდ გამოიცვალა ცხოვრება: მან ხშირად დაიწყო
სიარული მონასტერში თავისს დასთან, რომელიც სამა-
გალითოდ ატარებდა ჭეშმარიტსა და ქრისტიანულს
ცხოვრებას: მოელს თავისს დროს სწირავდა მოყვასის
სამსახურს. ეს მისი და, რომელმაც იმავე ძმის გავლენით
უარ-ჰყო ამაო და წუთიერი ცხოვრება, ეხლა გახდა მი-
სივე მამხილებელი სარწმუნოების საქმეში ჭოჭმანისა და
სიგვიანისათვის. მან ბევრი ესაუზრა თავისს ძმასა და
ერთ ასეთ საუბრის შემდეგ პასკალი დაბრუნდა: შინ
სრულიად დამშვიდებული, მხიარული და გაბრწყინვებულია
ბრძოლა მისი დასრულებულიყო მეტს არ ჭოჭმანობ-
და. მან ჯერ განიხრახა მონასტერში შესვლა, მაგ-
რამ შემდეგ უარ-ჰყო ეს აზრი და უფრო მოხერხებულად
სცნო მონასტრის გარეშე ემსახურნა თავის დიდის მიზნია-
თვის. რომ უფრო აღვილად მოშორებოდა მისს ჩვეუ-
ლებებს, პასკალმა დატოვა ქალაქი და გადასახლდა სო-
ფელში, სადაც ცხოვრება უფრო საღაა და საცდურნიც
უფრო ნაკლებ. შემდეგ ამისა, რომ უფრო დაახლოვებო-
და თავის დას და ზოგიერთ სხვა პირებს, რომლებთანაც
კარგი განწყობილება ჰქონდა და რომლებსაც მუდმივი
მიმოსვლა ჰქონდათ მონისტრის მცხოვრებლებთან, პასკალი
და ესახლა მონასტრის მახლობლად. პასკალის განმარტო-
ებული ცხოვრება იყო მშვიდი და წყნარი, იგი სრუ-
ლიად არ ესწრებოდა საზოგადო კრებებს და გასართობ-
დებოდებს, არ ლებულობდა სტუმრებს და არც თვითონ

დადიოდა სტუმრად. მართალია მისმა ძველმა ნაცნობებმა უქმაყრფილება გამოაცხადეს პასკალის ამ გვარად ცხოვრების გამოცვლისათვის, მაგრამ ნელ-ნელა მიანებეს თავი. მაგრამ პასკალი კი არ მოშორებია საზოგადოებას, იგი არ იყო როგორც დაყუდებული ბერი, პირიქით ეხლა უფრო სულით და გულით დაუწყო საზოგადოებას სამსახური; ამიტომ უარპყო ის ფუჭი და უქმი ცხოვრება, რომელსაც ყოველგან, განსაკუთებით კი ქალაქებში იტარებენ მდიდრები. პასკალმა შეიყვარა ხალხი, მომეტებულად ლარიბნი, ავადმყოფნი და ტანჯულნი; მას არაფერი შეურდა ამათვის და მზად იყო ყველაფერში შემწეობა აღმოჩენა. იგი მიიწვევდა ამათ, სახლში ინახულებდა და ეხმარებოდა ყველაფრით, — რჩევით, საქმით და ფულით. ხშირად სხვისგანაც სესხულობდა ფულს დიდის სარგებლით, რომ დაერიგებინა ლარი ბთა და ავად მყოფთა თვის.

ამ გვარად დაიწყო პასკალმა ახალი ცხოვრება, თუმცა ამავე დროს ის მუდამ ავადმყოფობა არ აძლევდა მას მოსვენებას და თან და თან ძლიერდებოდა, მაგრამ იგი ვერ უშლიდა პასკალს ეცხოვონა ქრისტეს კანონისაებრ, — პირიქით, ავად მყოფობა თითქო შველოდა კიდეც, რომ გამხდარიყო იგი უფრო ბრწყინვალე, სრული და სულით ძლიერი. დიდის მოთმინებით იტანდა ტანჯვას და არაოდეს არ სჩიოდა და არც სხვებს აწუხებდა, როგორც ჩვეულებად აქვს ბევრს ავადმყოფსა. ერთხელ და სამუდამოდ დაუდგინა მისს ცხოვრებას წეს-რიგი, რომელსაც მტკიცედ მისდევდა-ყოველ დღე. თავის დღეში არ მისცემდა თავს ნებას გადაეხვია დადგენილ წეს რიგისათვის, არა თუ სიზარმაცით, არა-მედ ივათებულობის გამოც: ვერავითარი: ტკივილი ვერ

გამოიწვევდა მისგან ნებიერებასა და ვერც მისის დამ-შვიდებულის სულის აშფოთებას! სიღარიბეს პასკალი სათნოებად სთვლიდა.— „სიღარიბესა და სიგლახაკეში ცხოვრება არ არის ბოროტება, არამედ იმათვან არის ჩვენი ხსნა და სიკეთე:— თვითონ ქრისტე ღარიბი ჩყო და გლახაკი, არ მოეპოვებოდა თავის შესაფერი ალაგი „რაც შეიძლება ხშირ-ხშირად ინახულეთ ხოლმე ღარი-ბებიო,“ ეტუყოდა პასკალი მეგობრებსა და ნათესავებს: ეგ შლიერ საჭირო და სასარგებლოა ჩვენთვის. — რამდე-ნადაც ზეტს დააკვირდებით მათს ცხოვრებას, იმდენად ნათლად დაინახავთ, რომ ისინი მარად ითმენენ შიმში-ლსა და სიცივეს... უმძმეს ავადმყოფობის ღრმოს იმათ-აკლიათ ის, რაც აუცილებლად საჭიროა ადამიანისათ-ვის. ასეთის ნახვით, უთუოდ, გული მოგილებათ და თაჭისივე ნებით უარს იტყვით ფუფუნებით ცხოვრებაზე და თავს დაანებებთ ბოროტს ცხოვრებას, თუ თქვენ ადამიანი ხართ და არა მხეცი!

პასკალი ასე შალლა აყენებდა სიღარიბეს, ექებდა ყოველგან, აქებდა და ამხნევებდა ღარიბებს. იგი ურჩე-ვდა და ემუდარებოდა მისს ქმარშვილიანს უფროსს დას, რომ მას უარ ეყო ნაცნობებში გართობა და ქაყოფი-ლება და თავი შეეწირა ღარიბთა და გაჭირვებულთა სამსახურისათვის. „ჩემთვისაც დიდად სასიამოვნო იქნე-ბოდა ღარიბთა სამსახური“, უპასუხებდა და: — „მაგრამ საკუთარი საქმეები იმდენი მაქვს, რომ მეშინია, ვაი თუ ვერ ავუვიდე და დროა არ დამირჩეს ბოვშების მოსავლელადაო!“

„ეგ მართალი არ აწის“, ეტუყოდა პასკალი: „შენ იმიტომ ღაბოაქობ ასე, რომ არა გაქვს ძლიერი სურ-ვილი; ვისაც კუშმარიტის გულითა სურს აღასრულოს

ევ საქმე, იგი იპოვის ტროს, რომ პოლუშებსაც მოუკიროს და გლახაკებსაც ემსახუროს; გლახაკების სამსახური კი პირველი და უმთავრესი საქმეა აღამიანისა”..

ნათესავები ხედავდნენ, რომ პასკალი მთელს სიცუკუხლეს სწირავდა ლარიბთათვის ზრუნვას, ხედავდნენ მას მუდამ ლარიბებთან და ეტყოდნენ: „კარგი იქნებოდა, რომ ერთად მოგვეყარა თავი, მოგვეგროვებია ფულები და აგვეშენებია საგლახაკო, საავადმყოფოები, თავ-შესაფარი და სხვა ამგვარი დაწესებულებანი ლარიბებისათვის. უთუოდ, ამ გზით იმ გაჭირვებულ და დაჩაგრულებს ცოტათი მაინც შევუმსუმბუქებლით ტანჯვა-წვალებას და სიმწარეს.”—პასკალს არ მოსწონდა იმათი ამგვარი განზრახვა და ეუბნებოდა: „ფულების მოგროვება და მიზ გლახაკთათვის სახლების აშენება არ არის ჭეშმარიტი მოღვაწეობა, ეს იქნება მხოლოდ მატყუარობა, უქმი და ცრუ ოცნება... არა, ჩვენ უნდა ვემსახუროთ ლარიბებს სულ სხვარიგად: თითოეული ჩვენგანი საკუთარი შრომით უნდა შველოდეს მათ.—ლარიბების სამსახური იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მონარჩენა, ზედ მეტი კაპეიკები, გინდა მანათიანები გადავუგდოთ მათ; არა, ქრისტე გვიკრძალავს ლარიბების ასეთ სამსახურს: მაცხოვარს სურს, რომ ლარიბებს შველოდნენ ისევ ლარიბები არა მონარჩენი, მათთვის არა საჭირო კაპეიკებით, არა-მედ საკუთარი ნასისხლარი შრომით!..”

„მე შიყვარს სიღარიბე,“ იტყოდა პასკალი; იმიტომ, რომ ქრისტეს უყვარდა იგი და ქონებას თუ რა დომე ვთვლი, ეგ იმიტომ, რომ მივსცე ის ლარიბებს.”

ლარიბების ასეთი შემწე და შემწყნარებელი პასკალი თვითონაც ლარიბულს ცხოვრებას ატარებდა; მას ჰქონდა მხოლოდ ის, ურომლასოდ ყოფნა, ცხოვრება

ყოვლად შეუძლებელი იყო. შინაურს ცხოვრებაში მან უარ-ჰყო ყოველგვარი ნამეტნავობა და მოწყობილება; მთ-
სამსახურე არ უნდოდა, მხოლოდ მაშინ იმსახურებდა.
სხვას, როცა ავადმყოფობის გამო თვითონ არ შეეძლო
მოძრაობა. როცა კარგად იყო და ლოგინად არ იყო
ჩავარდნილი, თვითონ აკეთებდა ყველაფერს: იგებდა
ქვეშ-საგებს, გვიდა ოთახს, ისუფთავებდა ტანისამოსსა
და ფეხსაცელს და სამზარეულოში დადიოდა, რომ სა-
ჭმელი გამოეტანა. ერთი სიტყვით პასკალი არ სარგე-
ბლობდა არაფრით, რასაც ფუფუნება ჰქვია. მისს ოთა-
ხში ვერ დაინახავდი მოწყობილებასა და მორთულობას: არ
ქონდა სურათები, არც ფარდები, არც სარკე და თით-
ქმის კედლებზედაც არაფერს არ აკრავდა; ერთი სიტ-
ყვით, პასკალის ოთახში ვერ იპოვიდი ვერაფერს ისეთს,
რასაც ადამიანები თვალის სასიამოვნოდა და ფუფუნე-
ბისათვის ხმარობდნ. იცვამდა მუდამ ერთ გვარს და იაფ-
ფასიანს. ტანისამოსს; ხმარობდა უბრალო და მწარე სა-
ჭმელს,—უარ-ჰყო ისეთი საჭმელები, რომლებსაც ამზა-
დებენ გემოს დასაკმაყოფილებლად. პასკალის სუფრაზე
ვერ იპოვიდი ვერაფერს წვნიანს და ტკბილეულს. სჭამ-
და ცოტას. და იმასაც იმიტომ, რომ მოეკლა შიმშილი;
ერთხელა და სამუღამოდ განისაზღვრა საჭმლის რაოდე-
ნობა და ამ ზომას არას დროს არ გადააცილებდა. ხალ-
ხთან იყო განწყობილი, დაწყნარებული და მშვიდი. არ
ეჯავრებოდა, როცა მას შეეყრებოდა მისი შეურაცხ-
მყოფელნი, პირიქით, ისე ექცეოდა მათ, როგორც მე-
გობრებს და არას ოდეს არ მოიგონებდა მათს შეურაცხ-
ყოფას; მტერსა და მოყვრებს ერთმანეთისაგან არ არ-
ჩევდა. ყველას უკვირდა პასკალის ასეთი ქცევა და აქებ-
დნენ. მას, მაგრამ იგი ამბობდა: „რაღა არის აქ საქები?

ან სად არი სათნოება? მხოლოდ მავიწყდება. მე შეურა-
ცხოვთა, გალანძლვა და სხვა არაფერი. იგი არ ეძებდა
სხვის სიყვარულს, პირიქით, როცა შეატყობდა ვისმე,
რომ მას მეტის მეტად უყვარდა იგი, მაშინ შეწუხდე-
ბოდა და უკმაყოფილებას იგრძნობდა. თვითონაც მე-
გობრების, ნათესავების და არც არავის წინაშე არ
გამოამეუღნებდა თავის უზომო ალერსსა და გულ-
ჩვილობას. როცა გაიგონა მისი უმცროსის დის სიკვდი-
ლი, მხოლოდ ესღა სთქვა: „ლმერთმან ინებოს, რომ
თითოეული ჩვენგანი ასე მოკვდესო.“

ხან და ხან დები უსაყველურებდნენ ქმას, რომ არ
ეალერსება მათ ტკბილად; რომ არ იჩენდა დების წინა-
შე ისეთს მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნებს,
რომლებსაც უბრალო — მომაკვდავი ხალხი ასე დიდად
აფასებს! დებს ისე ეგონათ; რომ ვითომ ქმას სრუ-
ლიადაც არ უყვარდა ისინი, მაგრამ ძლიერ სცდე-
ბოდნენ, რაღან. პასკალს საქმით უყვარდა იგინი. და,
როცა რომელიმე მათგანს გაუჭირდებოდა, პირველს
შემწეობას იგი უჩენდა პასკალმა ძლიერ კარგად იცო-
და, რომ ქრისტეს კანონის ძალით ადამიანს პირველად
ყოვლისა უნდა უყვარდეს ლმერთი და ამიტომ მეტის
მეტი სიყვარული ღვთის ქმნილებისა უკანონოდ მია-
ჩნდა და ცოდვად. მას მშვენივრად ესმოდა შემდეგი სი-
ტყვები: „ვისაც უყვარს, მამა, ან დედა უფროს ჩემსა,
იგი არა არს ჩემდა ღირს; ან ვისაც უყვარს ძე, გინა-
ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.“

პასკალის სიკვდილის შემდეგ იპოვეს ქაღალდის;
ნახევი, რომელზედაც დაწერილ იყო მისი ხელით. შემ-
დეგი სიტყვები: „უსამართლოდ მიმაჩნია. რომ ხალხი
მეტის მეტად მომემხროს და შემიყვაროს მე სრულია“

დაც არ მსურს შოვატყურ იმზთი სიყვარული; მე ხომ უნდა მოკვდე და, როცა მოკვდები, ჩემს მოყვარულებს ეწყინებათ და გული დასწყდებათ. დიდ დამნაშავედ მივიჩნევ, თავს, როცა ვინმეს აღუძრავ ჩემდამი ძლიერს სიყვარულს. ამისთანა შემთხვევაში ჩემი საქურელი დამამტკიცებელი იქნებოდა ჩემის გულ-ქვაობისა, უსამართლობისა, რადგანაც ადამიანს არ უნდა უყვარდეს მთელის სულის ძლიერებით რაიმე მიწიერი, ერთი სიტყვით, ის, რასაც აქვს ბოლო და რაც მოკვდება; არა, კაცმა უნდა შეიყვაროს გულით და სულით მხოლოდ ის, რაც საუკუნოა; რაც უკვდავია, ესე-იგრ, ღმერთი და მხრლოდ ამ ერთს აამებდეს, ამ ერთს ეძებდეს.“

პასკალი არაფერს არ ითხოვდა სხვისაგან, არავის ავინებდა და არ გმობდა; მხოლოდ თავის თავს ექცეოდა სასტიკად. არც სტუმრად და არც საზოგადო კრებებზე არ დადიოდა, მხოლოდ თუ ვინმე გაჭირვებული მიიწვევდა რაიმე საქმისა, ანუ რჩევისათვის, არას ოდეს უარს არ იტყოდა. ამ გვარ სტუმრობის დროს განსაკუთრებით მტკიცედ აზვალიერებდა თავის თავს და უფრინრებოდა არა თუ მხოლოდ სიტყვებს, აზრებსაც კი. მან კარგად იკოდა, რომ ადამიანი ცოდვებში აღვილად ეარდება სიტყვით და საქმით, მაგრამ გაშორებრთ უფრო აღვილად სცდება და სცოდავს ფიქრებით. ამისთანა შემთხვევისათვის მას ერტყა პერანგის ქვეშ ტიტველ ტანზე მჭრელ-კბილებრანი. რკინის სარტყელი; ამ-სარტყელს იგი არ იხსნიდა მარტოობის დროსა და შინაობაშიც და სიკვდილამდე ატარებდა. როდესაც გაივლებდა გულში რაიმე ბოროტ აზრს, ნიდაყვს მიაჭრდა კბილებიანს მჭრელს სარტყელს. რომელიც ჩაერკობოდა სხეულში და საშინელს ტკიუალს აუტეხდა. პასკალი საშინ-

ლად კიცხავდა ამპარტაფნობას, თავ-მოყვარეობას და მე-
დიდურობას, — ყოველი პატიოსანი გდამიანი უნდა ერი-
დებოდეს „მე“ და „ჩემის“ ხმარებას: ეგ სიტუვები ეწია
ნააღმდეგება ქრისტეს კანონსათ“, ამბობდა იგი.

იo ასე ფიქრობდა და ასე იქცეოდა პასკალი შას-
შემდეგ, რაც საკუთარი ცხოვრება გამოიცვალა. და
ასეთს ცხოვრებას ატარებდა იგი. ოცდა ათის წლიდან
სიკვდილამდე. მთელ ამ ხნის განმავალობაში სიეულება
თან და თან უძლიერდებოდა-და არ ასვენებდა. თუმცა
მისი სხეული იტანჯებოდა შძიმედ, გარნა სული მისი
უკა მხნე და ძლიერიც ცხოვრების გამოცვლის შემდეგ
პასკალმა სრულიად მიანება თავი შეცნიერებას, არავი-
თარს სამეცნიერო შრომას იგი არ ეტანებოდა. მართა-
ლია, ამ მხრივ დიდი მიზიდულება ჰქონდა, მაგრამ იგი
შეაყენებდა ასეთს სურვილს, რაღაც მისი დაკმაყოფი-
ლება უსარგებლოდ მიაჩნდა. ერთხელ პასკალს რაღაც
არა ჩვეულებრივი მოვლენა შეემთხვა. თავის ტკიფილი
აუტყდა და მით დატანჯულმა რამდენიმე ღამე უძილოდ
გაატარა. ერთს ამისთანა ღამეში უცებ გაუელვა თავში
ერთმა აზრმა, მას მოჰყვა მეორე, შემდეგ მესამე... ხან-
გრძლივის უძილობით დაქანცულმა ვერ შეიკავა ეს ფი-
ქრები და — ამ რიგად დაებადა მას თავში შესანიშნავი
სამათემატიკო აღმოჩენა. მაგრამ რაღაც პასკალს უარ-
ყოფილი ჰქონდა შეცნიერება, ამიტომ აღარ ჩაიწერა ეგ
ფიქრი და აზრები, მხოლოდ გაუზიარა იგი ერთს ვინ-
მეს, რომელსაც მისის ღვთისნიერებისა და სათნოებისა
გამო დიდად პატივსა სცემდა. ამ კეთილმა აღამიანმა
დაინახა ამ აღმოჩენაში ღვთის დიდების ნაპერწყალი
და ტაბეჯითებით მოსთხოვა პასკალს დაეწერა იგი; პა-
სკალმაც დაიჯერა, დასწერა და დააჭერდინა ეს აღმო-

ჩენა და წიგნს დაარჯვა სახელად „ხელთა.“ ამ თხუზულებამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა პასკალს დიდი სამათემატიკო ნიჭი.

უკანასკნელმა მისმა სამის წლის ავალმყოფობამ მიაღწია უმაღლეს ხარისხამდე ნათესავები და მეგობრები ტიროლენენ მის ასეთ სასტიკ ტანჯვის მაყურებელნი, მაგრამ პასკალი, როგორც ნათელით მოსილი, დამშვიდებული იყო, ანუგეშებდა მათ და ეტყოდა: „ნუ სტირით ჩემზე და ნუ გებრალებით: მე კარგადა ფარ, ტანჯვა და ავალმყოფობა ვერ შეაწუხებს ქრისტიანეს; მას მარად უნდა ახსოვდეს, რომ ის მომაკვდავია. ქრისტიანე სხეულს არ უნდა ანებივრებდეს და მოთმინებით უნდა გადაიტანოს ხორციელი ტკივილი. და ტანჯვა და ყოველ წამს მზად უნდა იყოს სიკვდილისათვის“

1662 წლის თიბათვეს, სიკვდილის წინა დღეებში პასკალმა შეიტარო სახლში ერთი გაჭირვებული ღარიბი ოჯახობა, — კოლ-ქმარი თავიანთ ბავშებით — ამ შეფარებულ ბავშებს ყვავილი შეეყარათ. ამ დროს პასკალი უვლიდა მისი უფროსი და, რომელსაც თავისი საკუთარი ბავშებიცა ჰყავდა და ამისთვის ძლიერ შეშინდა, — ყვავილი ჩემს ბავშებსაც არ გადაედოსო; და შეეხვეწა პასკალს, რომ იგი მის სახლში გადასულიყო. პასკალი მოერიდა დის წევნინებას და გადავიდა მის სახლში მას ავალმყოფ პასკალს ისეთი ჰვალები გაუჩნდა, რომ საშინლად წვალობდა, ძილი სრულიად არ მოსდიოდა და დარწმუნდა, რომ სიკვდილი მოახლოვებული იყო. მისს ამგვარ წვალების დროს, მხოლოდ ერთი ზრუნვა და აზრი აწუხებდა, — ეგ იყო ღარიბები. მან დასტოვა ანდერძი, რომლითაც მისი ქონების უმეტესი ნაწილი გადაეცა ღარიბებს. მას კი სურდა მთელი ქონება ღა-

რიბებისთვის დაეტოვებინა, მაგრამ დისა და იმის ბავშების წყენას მოერიდა და ცოტა იმათაც გაუნაწილა; ამიტომაც სწუხდა და ამბობდა: „მე ვერ მივეცი ყველაფერი ღარიბებს და მინდა მათთან მაინც მოვკვდე.“ მთელი დღეობით ეხვეწებოდა დას, რომ გადაეყვანა იგი უკურნებელ სენით ღარიბთა საავადმყოფოში. „მომეცით საშვალება, რომ უკანასკნელი დღეები ღარიბებთან გავატარო,“ ამბობდა პასკალი, მაგრამ დამ არ შეიწყნარა ძმის ახეთი თხოვნა. უკანასკნელ ორი თვის განმავალობაში პასკალს ხშირად ნახულობდნენ ის მეგობრები, რომლებთანაც მას კარგად მყოფობის ღროს უყვარდა სასულიერო საგნებზე ლაპარაკი. მნახველებში ერთი ერთი მღვდელი, რომელიც განცვითრებული იყო პასკალის სიმზვიდითა და მოთმინებით. „უმანკო, წყნარი და მორჩილი ბავშის მსგავსიაო, ამბობდა იგი. მეორე მღვდელმა, თავისის კეთილ ცხოვრებით ცნობილმა, ინახული პასკალი სიკვდილის წინა დღეს. მთელი საათი ემუსაითა მას და გამოვიდა ოთხიდან აღელვებული და იქ მყოფ პასკალის მეგობრებს უთხრა: „გიხარიდეთ, რომ უფალს მიჰყავს იგი,—მე ყოველთვის მაკვირებდა მის ქცევა, მაგრამ ეხლანდელსავით გულკეთილი, მშვიდი და მორჩილი არას ოდეს არ მინახავს.—ოხ, რა მენატრება მის აღგილზე ყოფნა!“ უკანასკნელ სულის ამოსვლმდე ღარიბებზე ფიქრი და ზრუნვა არ განუშორებია პასკალს „რატომ ასე ცოტა ვარგე მე ღარიბებს, რომლებიც სიცოცხლეში ასე გატაცებით შიყვარდათ?“ ეკითხებოდა პასკალი მის გარშემო მყოფ ხალხს.—„იმიტომ რომ შენ თვითონ ცოტა გქონდა საშვალებაო,“—უპასუხებდნენ მას.

„არა, ეს აშის გამო არ მომხდარა,“ იტყოდა იგი:

მართალია, ქონება ცოტა მქონდა, მაგრამ შთელი ჩემი შრომა და ღრო მე უნდა მომებმარებივ ღარიბთათვის. მე დამნაშავე ვარ მათ წინაშე. რომ მოვრჩებოდე, ღარიბების სამსახურის გარდა სხვა არაფერი საჭმე არ იქნება ჩემთვის.“

უკანასკნელ წამებში პასკალი ისე უგრძნობლად იდვა ლოგინზე, როგორც მკვდარი. სიკვდილის წინ გას გამოელვიშა, ვონებაზე მოვიდა, წამოჯდა ქვეშაგებიდან მხიარული და გაბრწყინვებული სახით და წარმოთქვა: „ნუ დაძაგდებ მე, უფალო!“ ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები და მით დალია სული. ამ ნაირად მიაბარა პასკალმა ღმერთს თავის დიდებული სული დაბადებიდან მეორმოცე წელს. ეს მოხდა 19 მარიამობისთვეს. I 662 წელს.

მოღვაწე ნაშილი

პასკალის აზრი საუკუნო ცხოვრების მორწმუნეთა და ურწმუნეთა შესახებ.

ისპოტა, თუ არა ჩვენი სიცოცხლე ხორციელი სიკვდილით? აი ერთი უდიდესი საკითხავი; რომლის გამოც მხოლოდ ჭალიან ცოტა ადამიანი არ დაფიქრებულა. თუ რწმენა გვაქვს საუკუნო ცხოვრებაზე, ჩვენი ყოფა-ქცევა იქნება კეთილ-გონიერი და სათნო და თუ არა, მაშინ უზრო და უგუნური. ყოველგვარი ჩვენი კეთილ გონიერი ქცევა, უსათუოდ, წარმოდგება. უკვდაობის რწმენისაგან, მისათვის პირველი ჩვენი ზრუნვა უნდა ყოს იმის გაგრძელობის გადავება. ზოგნი ცდილობენ, რაც ჭალა შესწევთ, ახსნან ეგ საკითხავი; ესენი ღარწმუნებულნი არიან, რომ ამ საკითხის ახსნი-

დან უნდა იყოს დამოუიდებული მთელი შათი ყოფაქცევა. ზოგნი კი იჭვში არიან უკვდაობაზე, წვალობენ თავიანთ იჭვით და უდიდეს უბედურებად მიაჩნიათ იგი. ესენი არაფერს არ ზოგავენ, ოლონდ კი გაიგონ კეშმარიტება; დაუღალავად ეძიებენ მას და ეს ძიება მიაჩნიათ უმთავრეს საგნად. არიან ასეთნიც, რომელნიც სრულიად არ ფიქრობენ ამ საკითხავის შესახებ. გასაკვირი, ამაღლვებელი დაშიშარია ამათი დაუღევრობა. კაცი სცხოვრობდე და არ გესმოდეს ცხოვრების აზრი; იჭვიანობდე ცხოვრებაზე, სწორედ, დიდი უბედურობაა. მაგრამ ამ იჭვის შერჩენა და მისგან თავის დახწევის უბებრობა ხომ ნამდვილი უსინდისობაა. მერე ყველა ამასთან, თუ ასეთი აღამიანი დამშვიდებულია, კმაყოფილია და თავიცა მოსწონს, მაშინ ის აღამიანი კი არ არის, არამედ რაღაცა გარეა ული არსებაა. ამისთანა აღამიანები ასე ამბობენ: „მე არ ვიცი, ვინ მიმიჩინა ამ ქვეყნად ცხოვრება, რა არის ქვეყნა, აგრეთვე რა ვარ მე თვითონ“ არ ვიცი, მაგალითად, ისიც რა არის ჩემი სხეული, ჩემი გრძნობა, ჩემი სული და რა აზროვნობს ჩემში; ვერაფერი გამიგია ვერც ჩემი თავისა და ვერც სხვისი. ვხედავ მხოლოდ ქვეყნის დაუსრულებელს სივრცეს. ვცხოვრობ ამ სამყაროს ერთს კუნკულში, მაგრამ რატომ ამ კუნკულში და არა სხვაგან, ესეც არ ვიცი; მსგავსად ამისა არც ის ვიცი, თუ ყველა დროთაგან, წარსულ და მომავალთან, რატომ მაქს საცხოვრებლად დანიშნული ეს დრო და არა მეორე! ყოველ მხარეს ვხედავ უსამძლვროებას, დაუსრულებლობას და მათ შორის მე ვჩანვარ პაწაწინა ქვიშის. ოდენად, რომელიც არსებობს მხოლოდ ერთს წამს და შემდეგ ქრება დაუბრუნებლად. დაბეჯითებით მხოლოდ ის ვიცი, რომ მალე უნდა მოვკვდე! სიკვდილს

მე ვერსად გავექცევი, შაგრამ რა არის თვით სიკვდილი,
ისეც არ ვიცი: არ ვიცი, საიდან გავჩნდი და არც ის, თუ
რა მომივა სიკვდილის შემდეგ: შევწყვეტ სრულიად ჩემს,
არსებობას, თუ ჩავუვარდება ვინმე მრისხანე ღმერთს,
ჩემგან ეგ დაფარულძა. აი ჟე არის ჩემი მდგომარეობა ამ
ქვეყნად! ყოველგან უბედურება, სისუსტე და სიბნელე!
მაშ ვიცხოვრებ. ისევ ისე, რომ აღარაფერი ვიდარდო
არის შესახებ. დავანებებ თავს მაცადინობას იჭვის ასა-
ხნელად, ვიცხოვრებ უკან შოუხედავად, უდარდელად
და დავცინებ ყველა იშათ, რომელთაც იმედი აქვთ იპო-
ვონ ჭეშმარიტება: დეე სიცოცხლემ შეუმჩნევლად მიმა-
ყენოს სიკვდილთან, დეე მოვკვდე საუკუნო ცხოვრების
შესახებ არაფრის მცოდნერდა იმისი, თუ რა მომელის მე
სიკვდილის შემდეგ! — ასე ფიქრობენ და ასეზეჯელობენ
ზოგიერთი ადამიანები. მაგრამ განა შეიძლება დავეთან-
ხმოთ ამათ? ვისოთვის ვარგა, ან ვის რატ უნდა ესენი?
ასეთი ადამიანები გულ-გრილად ეკიდებიან იმას, რაც
ყველაზე უდიდესია კაცისათვის წთ მცირე რამისათვის,
კი აღელდებიან;

ამისთანა ადამიანებს აშინებს უბრალო რამ უსია-
მოვნება, რომლის მოახლოვებას წინდაწინვე გრძნობენ
და იგებენ ერთი-და იგივე ადამიანი ლელდება და გულს.
იწუხებს ადგილის დაკარგვისა, ანუ უბრალო შეურაც-
ყოფისათვის და სრულიად არ ნაღვლობს, რომ სიკვდილის
შემდეგ ყველაფერი დაეკარგება. თქვენ ხედავთ. რომ;
ზოგი ადამიანი ერთსა და იმავე დროს მეტის მეტად
შეწუხდება უბრალო რამისათვის და უდიდესაგნისათვის
კი გულგრილობას იჩენს. ასეთზოგადებარი მდგომარეო-
ბა ადამიანისა, სიმთვრალეს წააგვს, ბევრს ასეთ ადამიანს
თავის პკუით კი არ შეუღწევიათ ამ მდგომარეობამდე;

მათ სხვებმა ჩააგონეს, რომ სულიერი ცხოვრების რწმენა
არ შეჰქორის განათლებულს კაცსაო და იმათაც ისე
ჰვონიათ, როცა ურწმუნოებას გამოვიჩენთ, მაშინ საზო-
გადოებისაგან პატივს მოვიხვეჭთ. მაგრამ ცდებიან ასეთი
სიტყვებით თვით უუგუნურეს ადამიანისაგანაც კი ვერ
გამოიწვევს პატივის ცემას. რომ პატივისცემა დაიმსახუ-
როს ადამიანშა, საჭიროა ის ითვლებოდეს პატიოსან,
კვეიან, მართალ და ქვეყნისათვის სასარგებლო კაცად.
შერე არ ნდობას დაიმსახურებს ისეთი კაცი, რომელიც
ამბობს, რომ ღმერთი არა მწამსო, ემორჩილება და
უჯვერის მხოლოდ თავის არა და არავის ანგარიშს არ
აძლევს მის ყოფაქცევისათვის. ანუ გაჭირების დროს რა
ნუგეშს და რჩევას, ანუ შემწეობას უნდა მოელოდეს
ადამიანი ასეთი ქარაფშუტა კაცებისაგან?! აბა ერთი
მოსთხოვეთ ასეთს ადამიანებს მათის გრძნობებისა და
ურწმუნოობის ანგარიში და უქვენ გაგიკვირდებათ: ისე
სუსტად და უგნურიად დაიწყებენ მსჯელობის, რომ
უფრო ადვილად დაგარწმუნებენ საკუთარ შეცდომაში
და არა სიმართლეში. ძლიერ უბედურნი არიან ისეთი
ადამიანები, რადგან თავიანთი ბუნებრივი თვისტება გრძნო-
ბას რყვნიან და აქალბებენ. იქნება ისინი იშიტოშ იტან-
ჯებიან, რომ ვეღარ ხედავენ თავიანთ შორის სინათლეს,
მაშინ უმჯობესია გამოტყდნენ ამაში. ეგ სრულიად არ
იქნება სირცხვილი. სირცხვილია მხოლოდ სირცხვილის
უქონლობა. ძლიერ მსუბუქი აზრის და დაუფიქრებელი
უნდა იყოს ის, ვისაც არ ესმის, რომ ადამიანი უღვთოდ
ყოვლად უბედურია: უდიდესი უგნურებაა ლვთის წინა-
ოღმდევ ადამიანთა ამხედრება. შეგვიძლია გუნიერები
გუწოდოთ მხოლოდ იმათ, რომელიც გულითა და სუ-
ლითა ლძერთს ქმსახურებინ და იცნობენ მას; შეგვიძლია

გონიერები ვუწოდოთ იმათაც, რომელნიც მთელის თავი ანთის ძალ ღონით ეძებენ მას, რადგან ჯერ კიდევ ვერ უცვნიათ ღმერთი. მაგრამ ისეთი ადამიანები, რომელთაც ღმერთი არა სწამთ და არც ეძებენ მას, ლირსნი არ არიან, რომ მათზე ზრუნვიდეს ვინმე, რადგან როგორც თვეთონ აღიარებენ, იგინი არავისგან არ არიან და მოკიდებულნი. ამისთანა შემთხვევაში ადამიანს უნდა ჰქონდეს, სწორედ, ის კეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული, რომელიც ურწმუნობეს ასე ეზიზლებათ, რომ უშველოს და ანუგეშოს ისინი მათს უბედურობაში. ჩვენ არ უნდა გვძულდეს ურწმუნონი, ღვთის უარის მყოფელნი, უნდა გვახსოვდეს მარად, რომ მათ ყოველ დროს შეუძლიათ გასწორება და მიქცევა ღვთისაკენ; ჩვენ კი, პირ-იქით, შეიძლება ისე დავბრმავდეთ, როგორც ესენი. ჩვენ ამისთანა დროს ისე უნდა მოვექცეთ მათ, როგორც საკუთარს თვეს: ყოველი ღონის ძიებით უნდა ვეცადოთ დავარწმუნოთ ისინი ისევ ეძიონ და იპოვონ დაკარგული სინათლე. ჩემი ნატვრა ის არის, რომ ასეთი ადამიანები ამ წიგნის კითხვას მოახმარდნენ სულ მცირე ნაწილს მაინც იმ დროისას, რომელსაც ასე უნაყოფოდ და უაზროდ ხარჯავენ უსარგებლო საქმეზე. იყითხონ თუნდ ზიზლითაც: ვინ იცის, იქნება, ჰპოვონ რაიმე თავისთვის. სასარგებლო და გამოსატევი და ვინც წაიკითხავს ამას კეშმარიტების ძიებისათვის, მგონი, კმაყოფილი იქნება. ადამიანი, ვთქვათ ზის ციხეში და არ იცის, რა განაჩენი დაუდგინეს და რა მიუსაჯეს მას. მხოლოდ ერთი საათი დარჩენია ამის შესატყობად და, თუ გაიგო, რომ მას გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა, მაშინ მას სრულიად ეყოფა ეგ ერთი საათი, რომ გამოითხოვოს დარღვევა ასეთის განაჩენისა: ნუ თუ ამ

ერთს საათსაც ბანქოს თამაშისა და დროს გატარებას
მოახმარს და არა იმის გაგებას, თუ რა განჩინება დაუ-
ჯინეს მას? რას ემგვანებოდა ეს? სწორედ ასე იქცევიან
ისეთი ადამიანები, რომელნიც არ ფიქრობენ არც ლვთი-
სა და არც საუკუნო ცხოვრების შესახებ. ისინი უზრუ-
ნველიდ და უდარდელად მიისწრაფვიან უფსკრულისაკუნ
თვალ მორიდებით და ეგ თვალის მორიდება და ძალად
თვალის ახვევა. უშლის მათ დაინახონ ის უფსკრული!

აღაგიანი უცდა ეძმიდეს ჭეშმარიტებას.

იმ ქვეყანასთან შედარებით, რომელიც გარს არ-
ტყია ადამიანს, იგი წარმოადგენს თავისთავად მხოლოდ
სუსტს ლერწამს, მაგრამ გონიერებით აღჭურვილს. საკ-
მაო არის სულ უბრალო რამე, რომ კაცი მოვკლათ; მაგ-
რამ კაცი მაინც მაღლა დგას უცელა ქმნილებასა და ყვე-
ლაფერ მიწიერზე, რადგან იგი სიკვდილის დროსაც სა-
კუთარი გონებით სცნობს და გრძნობს, რომ კვდება.
ადამიანს შეუძლია სცნოს თავის სხეულის არარაობა და
უსუსურობა ბუნების წინაშე, თვით ბუნება კი ვერა-
ფერს ცნობილობს. მთელი ჩვენი უპირატესობა მდგო-
მარეობს შეგნების ნიჭიში. მხოლოდ ეგ ასეთი შეგნება
და ცნობიერება გვაყენებს მაღლა დანარჩენ მიწიერზე და-
ქვეყანაზე. დავაფასოთ და დავიცვათ ჩვენი გონიერება და
იგი გაგვინათლებს ჩვენ ცხოვრებას,—გვიჩვენებს რა არის
კეთილი და რა ბოროტი, რა არის კარგი და რა ავი.
ადამიანმა უნდა იკოდეს თავისი ნამდვილი ფასი. დევ გა-
იგოს მან ნათლად მისი სიდიადეცა და არარაობაც. დევ
ერთსა და იმავე დროს უყვარდეს და კიდეც სძულდეს
თავი. უყვარდეს მას მისი უდიდესი ნიჭი ცნობიერებისა,

ნიჭი კეთილის ქმნისა და სძულდეს მისი ოუარებელი
მდაბალი თვისებები. ადამიანს აქვს მოცემული ნიჭი ჰეშ-
მარიტების ცნობისა, რომ ინეტაროს; მაგრამ ისიც ცხა-
დია, რომ ადამიანს არ ჰეშძლია დაიტიოს თავში მთელი
უტყუარი და საყოფი ჰეშმარიტება. მევურჩევ მხოლოდ
ეძიონ ჰეშმარიტება, განთავისუფლდნენ, იმ ბინძურ
გულის თქმათაგან, რომელნიც უშლიან ადამიანს
იქით წასვლას, სადაც ისინი იპოვნიან ჰეშმარიტებას.
მე ვიცი, თუ რა რიგ აბნელებს ცნობიერებას სურვი-
ლი და გულის-თქმა, რომელნიც უშლიან ადამიანს
ჰეშმარიტების პოვნას. მე ვიცი ეს და ამისათვის
ჩემი ნატვრა ის არის, რომ ადამიანმა მოიძულოს
ეგ პირუტყვული თვისებანი, თორემ იშინო აბრმავებენ
მას, როდესაც ირჩევს ჰეშმარიტს გზას, და შეაჩერებენ
დამიანს, როცა იმ ამორჩეული გზით მიდის. ადამიანი
აზროვნობს, — ეგ მისი თვისება არის, რადგან ისეა შექ-
მნილი, მაშ ცხადია, რომ იგი უნდა აზროვნებდეს გო-
ნიერად. გონივრულად მოაზრე ადამიანი კი პირველად
ქოვლისა ფიქრობს, თუ რა მიზნისათვის უნდა იცხოვ-
როს ქვეყანაზე: იგი ფიქრობს თავის სულისა და ლვთის
შესახებ. ეხლა ერთი შეხედეთ, რაზე ფიქრობენ ერის
კაცები? ისინი ზრუნავენ და ფიქრობენ ყველაფერზე,
რაზედაც გნებავთ, მაგრამ სულისა და ლვთის შესახებ
კი არა. ასეთი ადამიანები ფიქრობენ ცეკვა-მუსიკასა
ლხინსა და სხვა ამგვარ კმაყოფილებაზე; ესენი ზრუნა-
ვენ სიმდიდრისა და შენობებისა და უფლების მოპოე-
ბის შესახებ; შერთ მდიდრების და მეფეების მდგრმარე-
ობა და სრულიად არ ფიქრობენ იმაზე, თუ რას ნიშ-
ნავს კაცად ყოფნა. წარმოიდგინეთ პორკილ აყრილ

ზამნაშავე ადამიანთა ბრძო, რომელთაც გადაწყვეტილი
აქვთ სიკვდილით დასჯა, და ესეთი განჩენი მოყვავთ სი-
სრულში თითოეულ მათგანის თვალ წინ..; კლავენ ჯერ
გროსა, ამ დანარჩენები შეჰყურებენ და მოელიან თავი-
ანთ რიგსა. ასეთია კაცის ცხოვრება, ქვეყანაზე სამგვა-
რი ადამიანებიც ცხოვრობენ: პირველ რიგის ადამიანებს
უცნიათ ღმერთი და ემსახურებიან მას,— ესენი არიან
გონიერნი და ბედნიერნი, მეორე რიგისას ვერ უცნიათ
და არც დაეძებენ მას; ესენი არიან უგუნურნი და უბე-
დურნი; ხოლო მესამე რიგთა, თუმცა ჯერუერ უცნიათ
მაგრამ მაინც დაუღალავად ეძიებენ მას,— ესენი არიან
გონიერები, მაგრამ ჯერ ჯერობით კი უბედურები. სი-
მართლე აქვთ ყველა იმათაც, ვინც კეშმარიტებას ეძე-
ბენ ტანჯვითა და თავის შეწირვით. კეშმარიტების ძიე-
ბა არ ხდება მხიარულებით, არამედ ღელვითა და შეწუ-
ხებით, მაგრამ მაინც უნდა ვეძიოთ იგი, რადგან მის
უპოვნელად და შეუყვარებლად დავიღუპებით. იქნება
მითხრას ვინმემ, თუ კეშმარიტებას უნდა, რომ მას ვე-
შიებდე და შევიყვარო, გამომეცხადებოდა იგიო. შენ
გეცხადება კეშმარიტება, მხოლოდ არ აქცვა ყურადღე-
ბას.. ეძიე კეშმარიტება,— ამას მოითხოვს იგი, ჩვენგან.
არა თუ, თვითონ კეშმარიტება იძლევა რწმენას, არამედ
მხოლოდ კეშმარიტების ძებნა ანიჭებს აღამიანს. მშვი-
დობას.

სიმცირე კაცთა სიბრძნისა, ანუ უსუსერობა კაცთა ცოდნის.

რამოდენმე ხანს თვალი მოაშორე, რაც შენ გარ-
შემოა და აიხდე ზეცხა. შენ დაინახავ მზეს, რომელიც
საუკუნედან ანათებს და ათბობს მის სამფლობელო-სივ-

რცეს; დუღამიწა მოგვეჩვენება პატარა წერტილად იმ წრესთან შედარებით, რომელზედაც მოძრაობს მზე. მაგრამ ესეც ცოტაა; თვითონ ეს წრეც სულ მცირე წერტილად მოგვეჩვენება შედარებით იმ გზებთან, რომლებზედაც მოძრაობს ვარსკვლავები ცის სივრცეში. ეს ჩვენი ხილული ქვეყანა არის მხოლოდ ქვიშის მარცვალი ცის სამყაროს ქვეშ. სამყარო დაუსრულებელია და მაშასაღამე მისი შუაგული ყოველგან იქნება, რადგან მას არა აქვს კიდეები. ჩვენ სრულიად არ შეგვიძლია იმისი გაგება, თუ რასა ჰქვიან დაუსრულებელი სივრცე. და ამ ეს გახლავს ერთი უდიდესი ნიშანი ღვთის ყოვლის შემძლებლობისა! განხედე ყოველსავე იმას და დაფიქრდი; მაშინ წარმოიდგენ, თუ რა მცირე რამ არის დედამიწა იმასთან შედარებით, რასაც შენ ცაზე ხედავ! ამ შემთხვევაში შეგვიძლია დედამიწა დავამსგავსოთ ვიწრო ციხეს, რომელიც დანიშნულია შენდა საცხოვრებლად ცოტა ხნობით!.. ისწავლე, რომ სამართლიანად დააფასო არარაობა ყოველივე მიწიერისა, კაცობრიობისა და საკუთარი თავისა. ეხლა დახედე იმას, რაც ძირს, შენ ფეხ ქვეშ, არის; და აიყვანე ხელში რომელიმე მწერი: მის პაწაწა ტანში შენ იპოვნი უფრო მცირე ნაწილებს: პაწაწანა ფეხებს თავის სახსრებით და ძარღვებით, რომლებშიაც ჩუხჩუხებს სისხლი; ამ სისხლში დაინახავ სხვა და სხვა გვარსითხეს; ამ სითხეში სხვა და სხვა წვეთებს და ამ წვეთებში სხვა და სხვა გვარ გაზებს (პაერის მაგვარ, ნივთიერებას) რამდენადაც გინდა დაპყო მწერი და მისი ნაწილები ცალ-ცალკე, დაინახავ, რომ მის დაყოფას სამზღვარი არა აქვს. ამიტომ შეჩერდი რომელიმე უუმცირეს ნაწილზე და შეაღარე იგი მთელს სამყაროს, მთელს ხილულს ქვეყანას! ასეჭი შედარებით შენ მიხვდები, რომ

ჩვენი სხეული არის უმცირესი ქვიშის მარცვალი ხილულ ქვეყანაში, რომელიც თავის და თავად წარმოადგენს სრულიად შეუმჩნეველს ქვიშის ოდენა მარცვალს სამყაროში. და მწერის იმ პატაწინა ნაწილისათვის კი ჩვენი სხეული წარმოადგენს მთელს ქვეყანას. ვინც თავის თავს შეხედავს ისე, როგორც ორს უფსკრულსა შუა, — ესე იგი, უსუსურობასა და დაუსრულებლობის შორის დაყენებულს კენჭსა, იგი უთუოდ აცახ-ცახდება შიშით. იგი იგრძნობს, რომ ძალა აღარ აქვს გაიგოს მთელი ეს სასწაული. ამ სასწაულის ასახსნელიად შრომასა და მაცადინობას უარჲყოფს და, მე მგონია, განცვიფრებული აირჩევს დასტკებეს ამ სასწაულის ყურებით მოწიწე. ბულ მდუმარებაში, ვიდრე მეტიჩრულად ეცადოს ამ საიდუმლოების მიწოდება! ადამიანთაგან დაფარულია ცნობა უმთავრესის მიზეზებისა, ესე იგი ცნობა ნივთიერებათა დასაბამისა და დასასრულისა. ადამიანს არ შეუძლია გაიგოს არც ის, რისგან წარმოდგა თვითონ, არც ის დაუსრულებლობა, რომელიც მას შთანთქავს! ადამიანთა ცოდნისათვის მისაწვდომია ნივთიერებათაგან მხოლოდ შუაგულიდან რაიმე ნაწილების გამოჭერა, მაგრამ ამავე დროს შეინც ვერ გამოიცნობ ვერც მისს დასაწყისს და ვერც დასასრულს. ბუნებაში ყველაფერი გაჩენილია არარაისაგან და შევიდა როგორც რგოლი დაუსრულებელს ჯაჭვში. ვიღას შეუძლია, გამჩენის გარდა, გადაათვალიეროს ამ დაუსრულებელ ჯაჭვის ყველა რგოლები! მაგრამ ამპარატავნები და თავის თავზე მეტის მეტად დაიმედებული ადამიანები არ ჯერდებიან ასეთს სასწაულს და ცდილობენ გაიგონ და გაიცნონ მთელი სამყარო და მისი უუმცირესი წვრილმანებიც კი, თითქო ეგ შესაძლებელი იყოს!.. ასეთ ადამიანებს სურთ შეიტყონ დასაწყისი

ყოვლისფრისა, იმისტომ რომ შემდეგ ყოვლისფერი და-
ნარჩენი ახსნან, მაგრამ ეგ მარტო ცალიერი თუნებაა!
ასეთი განზრახვა მხოლოდ მაშინ ასრულდებოდა, კაცი
რომ ჰქონოდა ისე დიდი და დაუსრულებელი ნიჭი, რო-
გორც თვით სამყაროა, მაგრამ ეგ ასე არ არი! ჩვენს
ცოდნას არაოდეს არ წენება დასასრული, რაღან შე-
სასწავლი და გასაცნობი საგნები დაუსრულებელია.
სჯობია გვიცნოთ საკუთარი ძალა: ჩვენ რაღაც კი ვართ,
მაგრამ ყოვლისფერი კი არა ვართ. ჩვენ დიდად გვენატ-
რება მაგარის ბორის პოვნა, რომელზე შეგვეძლოს და
უსრულებელის კოშკის აშენება, მაგრამ მარად ეამს სა-
ძირკველი ასეთის ჩვენი კოშკისა ირლევვა და ჩვენ ფერ-
ხთა ქვეშ ჩნდება უფსკრული. ნუ მივსდევთ მიუწდომელს,
ნუ ვცდილობთ შევიპყრათ შეუპყრობელი; ჩვენს გო-
ნებას არ შეუძლია ყოვლისფრის გაგება, ამ მხრით ჩვე-
ნი გონება განსაზღრულია! მართლაც და, უკუ კი დაუს-
რულებელის ცოდნა მიუწდომელია თავისი არსებით,
მაშინ ცხადია, ჩვენი მაცადინობა დაუსრულებელ ნივ-
თიერებათა შესწავლისა და გაგებაზე ჩვენი მცირე ცოდ-
ნის საშვალებით, სრულიად ამაო იქნება... ჩვენი ცოდ-
ნა ძლიერ სასარგებლო და გამოსალეგია ჩვენს სოფლი-
ურ ცხოვრების საქმეებში, მაგრამ ასეთს ცოდნას არ
შეუძლია აგვისხნას ჩვენ თვით ცხოვრების აზრი; ამ მიზ-
ნის მისაღწევად ჩვენი ცოდნა ძლიერ მცირე და სუს-
ტია. ჩვენი ცოდნა იმსაც ვერ სწვდება, რომ აგვისხნას ადა-
მიანის სხეულის ცხოვრება და სიცოცხლე. ნახეთ აბა,
რამდენი რო უნდა იცოდეთ ამისათვის: სხეულს სჭირია
ადგილი, დრო, მოძრაობა, სითბო, სინათლე, საჭმელი,
წყალი, ჰერი და ბევრი სხვა რამე. ბუნებაში ყოვლის-
ფერი ისე მჭიდროდ გადაბმულია ერთი მეორეზე, რომ

ერთი ადამის გასაგებად უნდა შეისწალო მეორე, ცალკე
ნაწილს ვეღარ გაიცნობ, თუ არ იცი მთელი. ჩვენის
სხეულის ცხოვრებას მხოლოდ მაშინ გაუიგებთ, როდე-
საც შევისწავლით ყველაფერს, რაც საჭიროა მისთვის და
ამატომ ძალა უნებულად მთელი სამყარო უნდა შე-
ვისწავლოთ, მაგრამ სამყარო ხომ დაუსრულებელია და,
მაშ მისი შესწავლაც მიუწდომელი ადამიანისათვის. აქე-
დან ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თვით საკუთარი
ჩვენი სხეულის ცხოვრების საფარით ახსნა. ნივთიერება
თა ცოდნაში ჩვენ უძლუნი ვართ და ეს უძლურება
აი კიდევ საიდანა სჩანს: ადამიანი შესდგება ორი სხვა
და სხვა ნაწილებისაგან; — ხორცისა და სულისაგან. არ
შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი შესდგებოდეს მხო-
ლოდ ნივთიერებისაგან. ცხადია, რომ მას უნივთიერე-
ცა აქვს, რომელს ვუწოდებთ სულს. ადამიანი მხოლოდ
ნივთიერებისაგან რომ ყოფილიყო შემდგარი, მაშინ ის
ძლიერ შორს დაუზრებოდა საკუთარი თავისა და გარე-
მოცულ ნივთიერებათა გაცნობას. რატომ? — იმიტომ
რომ ნივთიერებას არაფრის ცოდნა არ შეუძლია! ასე-
თის მოსაზრების შემდევ შეუძლებელი ხდება ერთს წავ-
საც ვიფიქროთ, რომ ის ნაწილი ჩვენის სხეულისა. რო-
მელიც ფიქრობს, სურს და უყვარს, იყოს ნივთიერი;
არა, ის, უთუოდ, არის უნივთიერო, სულიერი!

არც ნივთიერებისა და არც სულის არსებობის
ცოდნა ჩვენ არ შეგვიძლია; მხოლოდ ის ვიცით, რომ
ეგ ორი. ნაწილი ერთი მეორისაგან დიდად განსხვავდება.
ძლიერ სცდება ის, ვინც ფიქრობს და ლაპარაკობს სულ-
ზე, როგორც ამე ნივთიერების მსგავსზე. სცდება ისიც
ვინც ნივთიერებას მიაწერს ისეთს თვისებებს, რომელნიც
მხოლოდ სულს ეკუთვნის, ადამიანი არის ერთი უუსა-

კვირველსთაგანი ბუნებისა: მას არ შეუძლია გაიგოს
რა არის მისი სხეული, უფრო კი სული და, ბოლოს,
ყველაზე ნაკლებ ესმის, თუ რა ნაირად შეერთებია.
სული ხორცია: აი, სწორედ, აქ არის ყოვლად გაუგება-
რი და გაუხსნელი ნასკვი! ასეთია აღამიანის საკუთარი
მდგომარეობა მას არ შეუძლია ცოდნა და გაგება
ყველაფრისა, რაც ქვეყანაზე ხდება; სწორედ ამიტომ,
მრავალ საგანზე მსჯელობა აღამიანისათვის თითქმის
ყოველთვის შეუფერებელია და შემცდარი. აღამიანის
უმეტება ორ გვარია: ერთი შობიდან დაყოლილი,
პუნებრივი; მეორე კი — კეშმარიტად ბრძნული. როდე-
საც აღამიანი შეიძენს და შეისწავლის ყველა მეცნიერებას
რაც სცოდნიათ და იციან აღამიანებმა, ნახავს, რომ ეგ
მისგან შეძენილი ცოდნა ისე მცირეა, რომ მათი შემ-
წეობით შეუძლებელი ხდება ამ ლვთის გაჩენილი ქვეყნის
გაგება და გაცნობა; აი ასეთის დაკვირების ძალით
რწმუნდება აღამიანი, რომ მეცნიერებმაც არაფერი
იციან ისე, როგორც უმეტებმა. მაგრამ არიან ისეთი
ამპარტავანი კაცები, რომელთაც ცხვირი მაღლა უჭი-
რავთ, რომელთაც ცოტა რამ შეისწავლეს სხვა-და სხვა
დარგის მეცნიერებისაგან და გამედილურდნენ. ამათ
გაუსწრეს ბუნებრივ უმეტებას, მაგრამ ველარ მოასწრეს
მიღწევა იმ მეცნიერების კეშმარიტ სიბრძნემდე, რომე-
ლოთაც გაიგეს და ახსნეს უსრულობა, და არარაობა კაცთა
სიბრძნისა. აი ეს თავიანთ თავის ჭკვიანად ჩამთვლელი
აღამიანები არიან, ქვეყანას რომ ამღვრევენ. ისინი
ყველაფერზე მსჯელობენ დარწმუნებით და წინ დაუხე-
დავად და, რასაკვირველია, მუდამ სცდებიან. იმათ იციან
ერთი კორიანტელის აყენება და, სამწუხაროდ, ხშირად
საზოგადოება პატივისცემით ეპურობა ამისთან ებს; მაგრამ

უბრალო ხალხს ეზიზლება ისინი, როგორც უსარგებლონი, ამ ვაეგატონებსაც სხულოთ ხალხი და სთვლიან მას უზრდელად და გაუნათლებლად. ყველაზე უმაღლესი ცოდნა, სანამდი შესაძლებელია მისწვდეს ადამიანი, მდგომარეობს იმაში, რომ სცნას და მიხვდეს იმას, რომ დასასრული არა აქვს ჩვენის გონების შესასწავლ საგნებსა! შეიძლება კაცი იცნობდეს ლმერთსა და თავისი არარაობა კი არ იცოდეს და აგრეთვე იცოდეს თავისი არარაობა და ვერ იცნობდეს ლმერთს. მაგრამ ვინც ქრისტესი მოძღვრება იცის, იგი იცნობს ლმერთსაც და თავისი არარაობასაც.

სურვილი ამათ გართობისა.

ზოგიერთს ადამიანს ისე ეშინია იმ უმეცრებისა, რომელშიაც ბუნებამ არგო ცხოვრება, ისე ეშინია სიკვდილისა და ყოველგვარ უბედურების, რომ ცდილობს, რაც ძალა და ლონე აქვს სრულიად არ იფიქროს ამაზე. მარად უამს ეძებს და მოიგონებს ახალ-ახალ გასართობს და ჰელონია, — ჩანაწერებს თავის მოუსვენრობას და იპოვის ბელნიერებას; მაგრამ ასეთი გზით შეუძლებელია ადამიანმა. მიიღოს კმაყოფილება, რაღაც თავის კმაყოფილების მაძებარი არასოდეს არ არის კმაყოფილი. როდესაც მიიღებს ადამიანი იმას, რაც ენატრებოდა, მაინც არ წყნარდება, არამედ მას უნდება სხვა რამ კიდევ ახალი და ახლა იმისთვის უნდა იზრუნოს და თივი იწუხოს. უმეტეს ნაწილად ადამიანი ასეთს კმაყოფილებას დიდი რამედ სთვლის და, თუ დაკარგა იგი, დიდად ნაღვლიან-დება. მართალია მხოლოდ ის კაცი, რომელიც არც ხარობს და არც ჯავჭამს, როდესაც ხელიდან ყცლება-

და ეკარგება სიხარულის მიხეზი. ადამიანი დიდის
წვალებით ეძებს კმაყოფილებას და გასართობს, რაღაც
ცხადიდ გრძნობს თავის ცხოვრების სიცალიერეს, მაგრაც
სამწუხაროდ, სრულიად ველარ გრძნობს სიცალიერეს
და ამაოებას იმ ახალ გასართობ კმაყოფილებრისა, რომლის
მოსაპოვებლად ასე შფოთავს. ბედნიერი კაცი თავის
ბედნიერებას უფრო მაშინ გრძნობს, როცა ნაკლებადა
აქვს გასართობი. იქნება იყითხო, ნუ ზუ სხვა და სხვა
გვარ დროს. გატარებით სიხარული და ბედნიერება არ
იქნებაო? — რა თქმა უნდა, არა გასართობი საგნები.
ადამიანის გარეშეა და ყოველივე გარევანი დამოკიდე-
ბულია ხოლმე მრავალ სხვა-და-სხვა პირობებისაგან და,
თუ მარჯვე შემთხვევა არ შეუწყობს ხელს მის შესრუ-
ლებას, მაშინ ჩვენ ვვარდებით დიდი, უსიამოვნებაში.
სოლომან ბრძენმა და იობმა სხვებზე უკეთ გაიგეს
აღამიანის არარაობა? ერთი იყო მეფე, რომელმაც
საკუთარი გამოცდილებით გაიცნო კმაყოფილებების, ამა-
ოება; მეორე იყო მდიდარი-გლახაკი, რომელმაც გაიგო
კეშმარიტი ფასი ტანჯვისა. ადამიანის ბუნება ისეა
შექმნილი, რომ არ შეუძლია სიცოცხლე, თუ რამეს არ
აკეთებს, თუ ჭიათის ხალისი და მოსწროფება არა აქვს,
მა გვარ შემთხვევაში, თუ იგი არაფერს აკეთებს — ადა-
მიანი გრძნობს თავის, სისაწყლებს, უმწეობას, უნიჭობას,
უძლურებასა და არარაობას ჟა დამოკიდებულია: სულ
უბრალო რამეებისაგან. მაშინ იგი იწყებს მოწყენას,
ნამლვლიანობას, წუხილს, ტანჯვას, წყრომას და სასო-
წარკვეთილებას! ყველა მშრომელსა ჰგონია, რომ შრომა
მძიმეა და ძნელი წასატანი, მაგრამ იგივე მშრომელი
თავის, მდგომარეობას. გაცილებით უძრეს ასატანად,
ჩასთვლიდა, თუ რომ მას უქმად ყოფნა ჰქონდა მის-
ჯრლია:

ძლიერ აღრე ირყვნებიან ადამიანების; მათ ბოშო-
ბადანვე აგონებენ. ცრუ აზრებს საკუთარს პატიოსნებასა,
თავ-მოყვარეობასა და სიმდიდრეზე და აგრეთვე მათს
ცეთილშობილ მეგობრების, გამორჩევასა და იმათ სიმდი-
დრესა და პატიოსნებაზე და ამ ნაირად ბოშობიდანვე
ამძიმებენ უბრალო რამეებით: სტანჯავენ მეცნიერებისა
და სხვა უცხო ენების შესწავლით; ეჩიჩინებიან, რომ
ისინი იქნებიან ბელნიერნი შხოლოდ მაშინ, როდესაც მათ
და მათის მეგობრების სიმრთელე, პატივი და ქონება
აუკავებულ იქნება. და-უბედურნი, როცა ერთი ამ
თვისებათაგანი მოაკლდებათ. ასეთის ჩიჩინით იზრდებიან
და ატარებენ უროს დილიდან — სალამუშდე. მე კი სხვა-
ფრივ ვფიქრობ: ადამიანები რომ გავაბედნიეროთ, პირ-
ველად საჭიროა. — მოვაშოროთ ზემოდ თქმული და მი-
სი მსგავსი ზრუნვა, ამით მივსცემთ მათ საშეალებას უფ-
რო კარგად გახსელონ თავიანთ თავსა და უფრო ლრმად
ჩაუფიქრდნენ იმას, თუ რანი არიან, საიდან მოსულან,
რისთვის ცხოვრობენ და საღ მიღიან. ასეთი დაკვირუების
შემდეგ დარწმუნებული ვარ, სათამაშოსა და გასართობის
ძებნას აღარ შეალევენ დროს მარტოობის მოსაშორებლად.
მე ხშირად დავუფიქრებივარ იმას, თუ რატომ შფოთსვენ,
ადამიანები. რატომ აუკავენ თავს შრომას, მღელვარებისა
და უბედურებას სასახლეებში, ომჩბი, ერთ სიტუაცით
ყოველგან? დაკვირების შემდეგ ჩემთვის ცხადი გამხდარნ,
რომ ამდენს იმიტომ შფოთავენ და ზრუნვები, რომ მათ
არ იციან, თუ რა ტკბილობა თავის კუთხეში შევიდო
ცხოვრება! რომ სკოლნობეთი რე კვაყოფილებაა. ასეთი
ცხოვრება. მაშინ აღარ დაიწყებდნენ ბედის საძებნელად
ზღვებსა და ხმელეთზე საცლას. და აღარ მიმოედებოდნენ
ალაგებია და სამასახურის ჭებნისათვის და ფურს თავს
არ შეიწუხებდნენ კრიმინალურ გასართოების დაცნით!

ჟველანი ასე, ფიქრობენ, ვითომ მეფეთა ცხოვრება, იყოს უკეთესი. მაგრამ თუ მეფე დარჩა მარტო და გაურთობელი და დაურჩა დრო დაფიქრების იმაზე, თუ რა არის იგი, მაშინ დაინახავს მის უბედურს მდგო- მარეობას,—წარმოუდგება ყოვლისფერი, რაც მას ემუ- ქრება და რაც მოსალოდნელია მომავალისათვის, მაგა- ლითად: ქვეშევრდომთა უმორჩილება, უწესოება; ავად- მყოფობა და ბოლოს სიკვდილი! მაშასადამე, თუ მეფე არ გაერთო, თუ არ მისცა თავი დავიწყებას, უფ- რო უბედურია მის უკანასკნელ ქვეშევრდომზე, რა- დგან ამ ქვეშევრდომს ქაღალდის თამაშით მაინც შეუძლია გაართოს თავი. მაშ რაღაც ეტანებიან აღამი- ანები ამოდენა ზრუნვა—გართობებისაკენ, რომელნიც ასე ძნელი საპოვნი არიან?! პასუხი ცხადია: იმიტომ რომ ეშინიათ თავიანთ თავთან მარტოობაში დარჩენა; ეშინიათ ამ მარტოობაში თავისი. ცხოვრებაზე დაფი- ქრებისა, რომელიც ასე საძაგელი და საზიზღარია! ამიტომაც ცდილობენ თავი დავიწყებას მისცენ: ერთი წამიც არ დაურჩეთ თავისუფალი საზროვნოდ და აი გამოძებნიან და გამოიგონებენ სხვა და სხვა გასართობს: ქალთა საზოგადოებასა, ომიანობასა, ძნელს ალაგებში წასვლასა და სამსახურს. ეს შტოთი, მღელვარება და ამაოება ართმევს მათ დროს ჩასაფიქრებლად; შეიქცევს და უშლის დააკვირდნენ: თავიანთ თავსა. ასეთს კაცებს უყვართ ყოველთვის ხმაურობა და მოძრაობა: საპყრო- ბილე იმათვის უსაშინელესი სასჯელია, რადგან სრული- ად აღარ ესმისთ მარტოობის მშვენიერება! აი ეს გან- ლავს მიზეზი იმისა, რომ ასეთი ადამიანები შერით შეჰყურებენ მეფეებს და დიდს კაცებს, რომელთაც გაშო- რებით მეტი საშვალება მოიცავებთ, რომ დრო ატარონ.

განუწყვეტელ შექცევას... მეფებს გარს ჰქილავს თავის
კაცები, რომლებიც მხოლოდ იმას ცდილობენ და
ზრუნავენ, როგორმე გაართონ და შეაქციონ იგინი, არ
მისკენ დრო თავის თავზე დატიქრებისა, რადგან, რო-
გორიც უნდა იყოს მეფე, ის იქნება უბედური, თუ
დაიწყო ჩთავისთავზე ფიქრი, მაგრამ რა უგნურები ართ-
ან ისეთი აღამიანები, რომლებიც ცდილობენ მაგ გვარ
ზრუნვასა, შეფორმა და შექცევაში იპოვონ ბედნიერებას.
რომ ყოველსავე ამას აღამიანი ეძებს მხოლოდ თავის
დასაციწყებლად, შეგვიძლია დავრწმუნდეთ მით, რომ
შესთავაზეთ ქალალდის მოთამაშეს ის ფულები, რომლის
მოვებისათვისაც თამაშობს იმ პირობით ყი, რომ არ
ითამაშოსან მონადირეს. შეაძლიეთ ის კურდლელი,
რომლის დასაკერად, თუ ჭრაკლავად იგი გასულა ტყე-
ველად, მხოლოდ არ ხნადიროს და ნახავთ, რომ არც
მოთამაშე და არც მონადირე არ დაგეთანხმებათ.—ამ-
ბობენ: „კურდლელის ყიდვების დევნაზე უაღვილესია.“
მართალია ყიდვა უფრო ადვილია, მაგრამ იგი ვერ
შეუნაცვლებს აღამიანს ნადირობის წალილს და ნაყიდი
კურდლელი ვერ მოაშორებს შას სიკვდილისა და უბე-
დურობაზე ფიქრისაგან; ნადირობა, თამაში, შეფორმა
ზრუნვა, სიმთვრალე და შექცევა კი აღვილად ავიწყებს
კაცს თავის თავს. უმეტეს ნაწილს, რომელნიც გართუ-
ლან ამოუსვენარს მეცადინეობაში; წარმოუდგენია, რომ
რამ წამსაც თავის საქმეებს მორჩება, მიეცემა ტკბილი
მოსვენებას. მაგრამ ეს შეცდომაა: ასეთს აღამიანებს არ
ესმის, რომ ამაო და დაუინგბული შოქმედების სურვილი
ისეთივე დაუმაძლირია როგორც შექცევა გართობის
მოტხოვნელება და იმავე შიშისაგან წარმოდგება, რომ
თავიანთ თავს არ შერჩენ ამატო, არ დაურჩეთ დრო

თავრანთ აუარებელ ნაკლულევანებაზე დაფიქრებისა. ასეთი აღამიანებიც ისევე ფიქრობენ: ოლონდ შალე მოვრჩეთ ჩვენს საქმეებს და შემდეგ მოვისვენებთ და დავმშვიდებითობა მაგრამ ისინიც სცდებიან, რაღან ამ გზით შეფოთისა, მწუხარებისა და ამაოების მეტს ვერას იპოვნიან. მე მგონია ადვილად მისახვედრით, რომ ჩმედი მოსვენებისა მღელვარე და შეფოთისანი შაცაღნაობის შემდეგ მაჩვენებელია იმისი რომ ბედნიერების ერთი პირობაოგანდ არის მშვიდობა და არა მღელვარება-წუნელი. ასე ატარებენ აღამიანები მთელს სიცოცხლეს ისინი ღილის ჯაფით გადათელავენ ხოლმე სხვა და სხვა გვარ დაბრკოლებას, როლონ მიაღწიონ სანატრელს მოსვენებას, მაგრამ როცა დადგება დრო მოსვენებისა, იმ წამსვე აუტანელად გადაიჭივევა იგი: სულის სილრმი-დანაამოსული მოწყინება მოკუდეს მთელს არსებას კაცის სას თავისის შხამით მერე რაიმაო და ცალიერის ჩსეთი მოწყინას როცა გაუჩნდებათ მოწყინების ნამდვილუმიზები, ადველადირთობენ თავს უბრალო რამეებთ, მაგალითად ბილიარტზე თამაშით და სხვა. მერე რატომ ართობს კაცს ბილიარტზე თამაში? იმიტომ რომ მეორეცელებს უამბოს მისს შეეგობრებსა, რომ იგი უკანი მის შრპირ-დჟპირუსათან ხელოვნურად თვამა შობდა: ზოგი აღაგიანი დიდს შიშში უგდებს თავის შიშში მით რომ იშოვოს რამე ადგილი და მით დაიკმაყოფილოს თავისი მედიოლურობა, რაიც იმავე დროს თავის მოწონებას აცნოშნავს შობის ერთი ტავს აკლავს იმას, რომ გაიგოს უბრალია მეტებემ ამაო ჩვენის ცხოვრებისა, მაგრამ იმიტომ კი არა, რამ უფრო გონიერი შეიქნას და გაიუმჯობესოს უავისი ცხლა, ვრება, არამედ მხოლოდ მეტიც ურთისათვის უნდა არც ნოს ქვეყანას, რომ თვი სხვებზე სკვერიანია და ჩინუბულია

ესმის მათგ სისუსტე და ბიწიერება, ასეთი კაცი კო
კვეშლაზე უუგნენურესია, რადგან მან იცის, რა საზიზდრად
ცხოვრობენ, ადამიანები, მაგრამ მრინც თვითონაც ისე
საძალურად ცხოვრობს, როგორც სხვები! ზოგიერფებს
მოუწყენლად ცხოვრება, შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ
ყოველ დღე ცოტ-ცოტად თამაშობენ, მაგრამ შეაძლ
ეთ, იმათ, თქვენ დილ-დილობით ის ფულები, რომლის
მოგებეს შეუძლიან საღამოობით, მხოლოდ იმ პირობით,
რომ შემდეგში არ ითამაშონ და დარწმუნებით, რომ ამ
დაპირებით თქვენ ფეხდურად-გახდით იმათ, ჩქნება მით-
ხრა: თამაშობის დროს ისინი მოგებას ცი არა უძებენ,
არამედ თავის შექცევასათ; ვარ, რომ ესეც ასე არა არის
აბა მოსთხოვეთ ფულზე, არ ითამაშონ და თუ ფაშონ
მხოლოდ თავის შესაქცევად და ნახავთ, რა წერებად ჩამოს
ყრიან ყურებს, ცხადდა, ისინი თამაშობენ დროს არ
ეძებენ არც მოგებას და არც თავის შექცევას: მათ კი-
რებათ მხოლოდ თავისი უავის მოტრუუბა: იმ წარმოდგე-
ნით ცრუჭმ ვითომ მოგებისაგან შეიქნებიან ბელნიერნი,
როგორც ჟაფარა ნავშვები დაისვრიან ჟოლე ჟირის
სახეებს თამაშობის დროს იმიტომ, რომ თვითონ ვე შე
ნდენ სწორედ ამგვარადვე ასეთი ფლამიანები მოწყენის
ფროს გამოიგონებენ ხოლმე ისეთს საქმესა, და გასარ-
თობს, რომელიც აღუძრავს მათ ჭურვილსა, რისხვის
სახარულსა და შიშის! დიდ ხარგებოვანნი მოხელენ ი
დილიდან საღამომდე სამსახურშით ჩაფლულნია ველი
შოულობენ ერთი საათი თავისუფლებასაც, რომ დაფიც
ქრდნენ, თავიანთ თავზე, მაგრამ როდესაც ასეთი ადა-
მიანი ჯლაგას და ჯარგავს და ცხოვრობს ხალხისაგან
დევნიულურებული, უავის მდიდარს მამულში, იგი უბე-
დურად და უველაპაგან ჟიტოვებულად გრძნობს თავს.

რატომ? იმისტომ რომ აღარ არის სამსახურის საქმეებში,
ჩაფლული და ოც გარემოცულია ისეთი კაცებისგან,
რომელნიც დაუშლიან მას თანის თავს დაუფიქრდეს და
დაუკვირდეს. აქედან ცხალთ, რომ მოწყინებისაგან თავის
დაღწევას ჩვენ სხვა და სხვა შექცევაში ვეძებთ, მხოლოდ
ასეთი შექცევა დილი შებდურებაა ჩვენთვის რაზგან
მით ვშორდებით ჩვენ თავის თავსა: აღარ ვუფიქრდებით
ჩვენის ცხოვრების აზრსა და ამ ნაირად შექმნევლად
ვიღუპავთ თავს. მართალია, გბურთობლად ჩვენ მოგვე-
წყინება; მაგრამ სამაგიეროდ ასეთი მოწყინება ჭალის
დაგვატანს ვეძიოთ უფრო გონიერი გზა ამ მოწყინები-
საგან გამოსავალი. ერთად ერთი გრივრული გამოსავალი
გზა მდგომარეობს გონივრულს ცხოვრებაში. სამწუხა-
როა, როდესაც ხელავ, იმ რა ბევრს ზრუნავენ ადა-
მიანები მოაწყონ ცხოვრება იმავე მდგომარეობაში,
რომელიც, სრულიად მათ და უნებურად, წილიად რეგუ-
ბიარ; და ამ ცდილობებენ გამოარკვიონ თავისთ მდგომა-
რეობაზე ჟიკურთარის ჭრინებით და სჩნიდების მიხედვით,
ადამიანი აღრიცხანვე დაარწმუნეს რომ ის საქმე, რომე-
ლიც მას წილადა ხედა, მართალია, სწორია და სრუ-
ლიად აღარ ფიქრობს, რომ გაარჩიოს, მართლი ჭარვია-
ივი, თუ რა? იგი მხრილიდ მომიშეცადინეობდშია, რომ
უფროს წარმატებით შეასრულოს როგორმე ეს საქმე;
მაგრამ ამ საქმის ავი და კარგი მხარე რო გაერჩია უსა-
თულო; სრულიად გამოსცვლილა იგი სჯურთარს მდგრ-
ავი მარეობას.

მუდმივურია და ძალადა

შეერთ ისეთი კაცი, რომელიც ვერაცერიგზით ვერ
გადაიტანს, მას შეიტყო, რომ მას შეურაცყოფენ და ვა-
რის არა სტრენ საზოგადოებრში. ეს იმას ამტკიცებს,

თუ რა მაღლა იყენებს ადამიანი და არა დიდად ხფასებს
 თავისს მსგავს ადამიანსა დროან ისეთი კაცები, რომელ-
 ნიც უკველს ღონისძიებებს ხმარობენ, რომ სხვებმა მათ-
 ზე კარგი აზრი იქონიონ. და, ბედნიერად ჰკვლეულ
 როცა მათ პატივის ცემით ეპყრობიან და არ შეურაცყო-
 ფენ, ძლიერ შესაბრალისი და უსუსურნი არიან ასეთი
 ადამიანები, რადგან ასე იმიტომ იქცევიან, რომ ქვეყა-
 ნა გააკვირონ და ადიდებიონ თავი, ამისთან მოთხოვნი-
 ლება ჭდამიანისა, რომ სხვებისაგან მოწონებულ იქნას
 ამტკიცებს იმას, თუ რა მაღლა ვაყენებთ კაცის გონე-
 ბას; რაც გინდ დიდის ქონების პატრონი იყოს ადამია-
 ნი, რაც გინდა მღიდარი და ჯანმრთელი, იგთ არ იქნე-
 ბა კმაყოფილი, თუ მას პატივის ცემით არ ეკიდებიან
 კაცის ცემით დიდად ხფასებს გონებას, რომ იგი სულიო და გულით
 მონდომებულია, რომ სხვებმა მათი კაკუთარი გონებით
 მოუწონონ მას მისი აზრი და ყოფა-ქცევა. როგორც
 ზემოდ ნათქვამი ტვაქვს, არიან ისეთი კაცები, რომლებ-
 საც საშინლად ეზიზლებათ ადამიანები და ამტკიცებენ,
 რომ ადამიანი ცხოველია და სხვა არაფერით, მაგრამ
 იმათაც ენატრებათ პატივის ცემა მათ მიერ შეურაცყო-
 ფილ ადამიანებისაგან. ამაზე უკეთესად ვერაფერი ვერ
 ცხად ჰყოფს, თუ რამდენად უგუნურობაა ზიზლით მოწ-
 ცევა კაცთა მოდგმისა! მე არ ვეთანხმები არც იმას, ვი-
 საც ერთობ მაღლა აჲყავს ადამიანი და არც იმას, ვინც
 უმიზეზოდ აქვეითებს მას. ჩვენი უსუსურობა და არა-
 რაობა ის არის, რომ ჩვენ არა გვსურს ვიყოთ ისეთი,
 რაცა ვართ და ვცდილობთ ვეჩვენოთ ადამიანებს რა-
 ღაც სხვა ნაირად. ხშირია ისიც, რომ ადამიანები თავ-
 გამოდებით ცდილობენ თავი გამოიჩინონ სხვების წინა-
 შე ქონებულის, თუ არ ქრისტულის თავიანთი ხათხოვ-

ბით! ასეთი ყაუები მზად პრინც დაჭვარგზან და უარ-
ჰკუნ სათნოება, ოლტნ კი მათ ერქვათ სახელი სათნო-
და მადლიანი ადამიანისა, მაგალითად, მზარ არიან გახ-
დნენ შხდალნი, ოლტნ კი მათ უწოდონ სახელი მამა-
ცია; ჟე ხლება მაშინ, როდესაც ადამიანებს ერიდუებათ
მოიქცნენ სინდისისაშებრ იმის შიშით, ვაი თუ მხდლე-
ბი დაგვერქვასო. ისინი მზად არიან მოუსპონ ქაცუცე-
ლე თავიანთ თავსა და სხვებსაც, ოლტნ კი ადამიანთა-
წინაშე არ დაერქვას მათ სახელი მხდალისა იმის გამო,
რომ მათ მოითმინეს ლანბლვა და შურიარ იძიეს მათის
შეურაც-მყოფელისა. ამისთანა ადამიანებს ისე უყვართ
კაცთ ქება-დიდება, რომ მზად არიან მოკვდნენ მისთვის,
ოლტნ კი მოიპოვონ იგი. მე ყოველთვის მიკვირს, რომ
ამ უღმრთო საქმეში გართულნი ადამიანები რატომ არ
დაეკითხებიან თავს, — ეგ ჩვენ შიერ გამორჩეული საქმე
საძაგელია, თუ არაო! თითოეული ადამიანი თამამად
აკეთებს თავის უგუნურსა და უსამართლო საქმეს, თით-
ქო გენიოსიაო. თუ შემდეგ დაინახა თავისი სისულელე
და უსამართლობა, მაშინ იგი ამტკუნებს რაღაც სასა-
ცილო სიმღებლით თავის უვიცობას და პირდაპირ კი
მაინც არ აღიარებს, რომ თვითონ ეგ საქმეა საძაგელი
და უგუნური!

ვთქვათ ორი სახელმწიფო ებრძების ერთმანეთს და
იმათი სამხლვარია მდინარე. ამ ღრმას მე ვდგვევა
მდინარის ნაპირზე და უცებ მჟორე ნაპირიდან ერ-
თი ვინმე აფრთხო მესვრის. მე ვეკითხები: „რისთვის გრი-
და ჩემი სიკვდილი?“ — როგორ თუ რისთვის? — მიპა-
სუხებს იგი: „შენ ხომ ამ მდინარის მეორე მხარეს სცხოვ-
რობ და მაშ ჩემი მტერი ხარ! — ცხადია, ჩვენს მხარეზე
რო ცხოვრობდე, მაშინ შენის მოკვლის უფროება მე

სრულიაღზო მექნებთა ამისთანა შექმთხვევაში მე, გამოს
ვალ დამნაშავე და კაცის მკვლელი; მაგრამ უკადგან: ამ
მდინარის მეორე მხარეს სცენოვრობ, მე შემიძლია მოგ-
კლა შენ და ატარ დამერქევას მკვლელის სახელი და,
პირიქით, გამიერდეს გულადის მეომრის სახელი. ადა-
მიანები სამართლიანად სთვლიან მხოლოდ იმას, რაც
მათზე ადრე სხვებს დაუდგუნია და ეს მიაჩნიათ კანო-
ნიერად, სამწუხაროდ, გონივრულის საფუძვლით კი არა,
არამედ იმიტომ რომ ეს ჭრა იყო მიღებული და დად-
გენჩლია., ადამიანთა სამართავად საკმაოა წლვთის რიც
კანონი: პირველი, — სიყვარული ლვთისა და მეორე, —
სიყვარული მოყვისისა. ეს ორი კანონი სჯობიან ყველა
კაცთაგან შედგენილ კანონებს.

გზა მდგრევისა და გასწორებისა

თუ ღმერთი არის, ცხადია, ის უფრო უნდა შევი-
ყვაროთ ვიღრე მის მიერ გაჩენილი ნივთიერება და თუ
არ არის, მაშინ კი შევგვიძლია გავიტაცნეთ და დავტ-
კბეთ ნივთიერების სიყვარულით! ასე მსჯელობენ ურ-
წმუნონი, სოლომონის „სიბრძნეთა“ წიგნში და თავიანთს
მჯელობას ასაბუთებენ იმ წარმოდგენით, რომ ვითომ
ღმერთი არ იყოს. მათ რომ სცოდნოდა ლვთის არსებო-
ბა, მაშინ რასაკვირველია, არ იტყოდნენ ამას; დიდი
სისულელა გამჩენზე უფრო გაჩენილის შეყვარება. ბრძენი
ადამიანები ამბობენ: არის ღმერთი და, ამიტომ ნუ გაგვი-
ტაცებს მის მიერ გაჩენილის სიყვარულით. ლვთის ქმნილე-
ბათა მეტის-მეტად სიყვარულიდა მიფერება ჩვენის მხრით
უსამართლობაა, რადგან ეს გვიშლის ლვთის სამსახურს, თუ
ვიცნობთ და, თუ ჯერ ვერ გვიპოვნია ღმერთი. და მხო-

ლოდ ვეძებთ მას, მაშინ ქმნილებათა გატაცებით სიყვა-
რული დაგვიშლის მის ძებნის. მა

აღამიანს აქვს სხვა და სხვა ნაირი ბოროტი გულის
თქმანი, აი ესენი ჩვენ არ უნდა გვიყვარდეს. ჩვენ არ
უნდა შევიყვაროთ ის, რაც ბოდვას ჩვენში ღმერთზე
უდიდეს მიზიდულებას. ჩვენ გვაქვს ისეთი ცოდვებზე,
რომელნიც სხვა ჩვენს ცოდვებს უჭირავს, ჭრდესაც მოვ-
სპობთ ამ ძირითადს ცოდვებს, მაშინ მათგან დამოკი-
დებული ცოდვები მისდა თავდა გაპერება, სწორედ ის-
თე, როგორც ლერის მოქრის შემდეგ ტოტები და ცვივ-
დებიან ხოლმე. რაც ქვეყნიურის მოძღვრობით მეტის
მეტად მძიმეა, ის, ქრისტეს სწავლით, ყველაზე უადვილე-
სია და რაც ქრისტეს მოძღვრობით მძიმე საქმეა,
იგი კი ქვეყნიურის კანონით ადვილია! მაგალითად:
ქვეყნიურის მოძღვრებით მეტის მეტად მძიმეა ქრისტეს
სწავლასთან შეთანხმებული ცხოვრება; ქრისტიანეთა-
თვის კი ასეთი ცხოვრება ძლიერ ადვილი და მსუბუქია;
ქვეყნიურის სწავლით სიმდიდრესა და უფლების ჰქონებას
არაფერი სჯობია; ჭრიშვარი ქრისტიანეთათვის სიმდიდ-
რე და უფლებით აღჭურვილი ცხოვრება ყველაფერზე
უმძიმესია. ჩვენს გულის თქმასა და ჩვენის გონების შო-
რის არსებობს მულმივი შინაგანი ბრძოლა. აღამიანს,
რომ ჰქონოდა შხოლოდ გონება და არ ჰქონდა გულის
თქმანი, ან და, ჰქონოდა გულის თქმანი და არ ჰქონი-
და გონება, მაშინ არავითარი ბრძოლა არ მოხდებოდა
ჩვენში. რადგან აღამიანს ორივე აქვს, — გონებაცა და
გულის თქმაც ამიტომ ცხოვრება უბრძოლველად შეუძ-
ლებელია: ურთისა და მშავე დროს გონებასა და გულის
თქმებთან შერიცება, არ შეიძლება: თუ მოვურიგდით გო-
ნებას, მაშინ გულის თქმას; მაშინ ბრძოლა გონე-
ბას; თუ შეფურიგდით გულის თქმას; მაშინ ბრძოლა გონე-

ჩბაში არაფერო უშლიდეს, არ ივარეუებდა; არც ის ვარგა, რომ კაცი უველიფერი ჰქონდეს; რაც მას უნდა დაქამდე ჩვენ მიგვაჩნდა კარგ რწმედ ის, რაც გვინდოდა; ეხლა კი ვატყობთ, რომ კარგია მნიშვნოდ ის. ჩატა ღმერდის უნდა; ყოველ შემთხვევაში, რაც ჭის არ უნდა, ფარაუ-სადეგარი და უვარევისია ჩვენზევის ჩატა ღმერდის უნდა;

ერთად ერთი გზა ჩვენის გასწორებისა ზრის სიმარ-თლე; იგი ძნელია, მაგრამ ძნელია იმიტომ; რომ ჩვენ ასე დიდი ხანს, ვეძლეოდით ჩვენს ცოდვებს და ეს ცოდ-ვები კი გვიძნელებდა გასწორებას. ასეთს ბრძოლაში იმდენად უფრო ვიტანჯებით, რამდენადაც ღრმად გაუდ-გამს ფესვი ჩვენს სულ ში ამ ცოდვებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს ვითიქროთ, რომ ვითომ ღმერთი იყოს დამნაშავე ასეთ ბრძოლის საჭიროებაში; რა შუაშია — აქ ღმერთი? ჩვენ რომ ცოდვები არ გვქმნოდა, არც ბრძოლა დაგვ-ჭირდებოდა, აქედან ცხადია, რომ მიზეზი ბრძოლისა არის ჩვენი საკურარი უწმიდურება; ისიც მართალია, რომ ამავე ბრძოლაშია ჩვენი ხსნაც. რომ ღმერთს ვეხსნეთ, ამ ბრძოლისაგან, ჩვენ ვიქნებოდით უბედურნი მით, რომ შევრჩებოდით ჩვენს ცოდვებს. თავის თავთან ბრძო-ლი და თავის თავის ძალდატანება, რასაკვირველი, არის წინანდელი ჩვენის ცოდვების ბრალი; მაგრამ ეგ ძალ-დატანება სანატრელი და კანონიერია. დედა რომ მხეცს პირისაგან შეიღს გამოგლეჯს, ბავშვს ეს ეტკინება; შაგ-რამ მისი ტანჯვა დედას კი არ უნდა დააბრალოს, არა მედ იმ მხეცს, რომელსაც უცბილებიდან მისი გაშვება არ უნდოდა. სწორედ ამ ნაირადვე უნდა შეხედოს ადამიან-მა, როცა მასში კარგისა და ცუდის შუა ბრძოლა გაჩნ-დება, მართლ-მორწმუნეობა, კეთილ მსახურება, როგორც დედა, გმოგლეჯს ჩვენს სულს უწმიდურებისაგან და.

თუმცა ასეთი ბრძოლა მტანჯველია ჩვენი, მაგრამ იგი
დიდად საჭიროა და დიდი სიკეთს გვიშვრება. ძლიერ
ცუდი იქნებოდა რომ უბრძოლველად დავრჩენილიყა-
ვით შუბრძოლველად ჩვენი სულში ვერ დაისახებოდა
ლოტის შიში და სიწმიდე. თვითონ ღმურთი რო იმ გვა-
რად გვაძლევდეს მოძღვრებას, დარწმუნებული ვიყოთ,
რომ ეს მოძღვრება მისგან არის, მაშინ ხომ დიდის სიამოვ-
ნებით და ძალდაუტანებლად დავემორჩილებოდით მას.
აკი გვყვანან კიდეც ჩვენ ასეთი მოძღვრება: ერთია გა-
ჭირება და მეორე—საზოგადოდ უკველგვარი უძედური
შემთხვევა ცხოვრებაში.

მარტინ და მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ

მარტინ და მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ

მარტინ და მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ მარტინ

ნაკლულევანების ქონა, რასაკვირელია, ცუდია;
მაგრამ უფრო უარესი ის არის, როცა ადამიანს აღარა
სურს თავისი ნაკლულევანების ცნობა, ამისთანა შემთ-
ხვევაში იგი თავის ძველს ნაკლულევანებას ახალსაც
უმატებს. ჩვენ ხშირად ვცდოლობთ მოტყუებით მოვიპო-
ვოთ პატივის ცემა და სიყვარული საზოგადოების წინა-
შე. ოვითონ ჩვენ ძალიან ვჯავრობთ, როცა სხვები მო-
ტყუებრთ. ჩვენგან ისეთის პატივისცემას ითხოვენ, რომ-
ლის ღირსნი არ არიან. როდესაც სხვები ჩვენს ნაკლუ-
ლევანებას გვიჩვენებენ, ამით არავითარს ცუდი არ გვი-
შვრებიან, რადგან ჩვენის ნაკლულევანების მიზეზი თვი-
თონ ჩვენა ვხრომდა არა ისინი. პირიქით, ასეთი აღა-
მიანები ჩვენ დიდს სრკეთეს გვიშვრებიან მით, რომ გვე-
წევიან გავიგოთ ჩვენი ცოდვები. თუ მართლა ღირსნი
ვართ ზიზღისაც მაშინ რაღაც დავემდუროთ იმათ, რომ-
ლებსაც ვეჯავრებით ჩვენ, როგორც საძაგლები; და ან

რატომ არ გვიყვარს წევნ სიმართლე და მასთ მთქმული? რატომ გვირჩევნია რომ სხვები შესცდნენ წევნ შესახებ? რატომ უზროთ კმაყოფილი, რომა ჩვენზე ამაზე უკეთოსა აზრს შეადგენენ, რასე ღრმას რამა ვართშორატომ და რომ არ გვენატრება პლტივის ცემა ასეთის ლიტერატურისათვის, რომელთა ჩვენ სრულიად არ მოგვეპოვება — ეს არ ვარგაუდა არც შეძლება სიცრუისტა გაცვის ცემა; თუმცა ტიტველ სიმართლის წანაშეც მუხლების მოდრეკა უფენურებად წიმინდლე, ქრისტიანულს სიყვარულს მოკლებული, არ არის სიკეთე და ვერც ვერავითარ ცეტრლისადმი ვერ მიიყვანსაც დამიანს. რამდენადაც მასლია დგას ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რამდენადაც სხვებზე მეტი უფლება გვაქვს, იმდენად უფრო გვიძელდება სიმართლის გაგება. ას დღამიანები, რომლებსაც რამე მოწყალებას ვუშვებით ან და შეგვიძლია რაიმე ვნება მივაყენოთ, იშვიათად გვეტუვიან გულახდილს სიმართლეს შაგალითად გავლენიანა და ლიდ კაცებზე ცუკველგან აშბობენ სხვა და სხვა ცულს რამეებს, მხოლოდ თვით იმათ კი არაფერა იციან, რადგან ვერც ერთი მათი მახლობელთაგანი ვერ უბედავს თქმის იმის შიშით, რომ არ გააჯავრან; ისინი ძალიან კარგად იცის ადამიანმა, რომ სიმართლე მარგებელია მხოლოდ იმისათვის, ვისაც ეუბნება, მაგრამ იმავე დროს იგი მავნებელია თვითონ მთქმელისათვის, რადგან ამისათვის მოიძულებენ მას: ამ სიმართლის გაუგებრიბისა გამო უფრო დიდ კაცობა ვარდება უზედურებაში, თუმცა უბრალო ზალეში აც არიან ისეთნი, რომელთაც აღარ უყვართ არც ლაპარაკი და არც ყურის გდება სიმართლისა. ასეზო ადამიანები ატარებენ დროს, ერთი მეორის დაუცხრომელს მოტყუებაში, ესენი ერთი მეორეს პირში უზერცბიან და

თუმცა ასეთი ბზროლა შტანჯველის ჩვენი, მაგრამ იგი
დიდად საჭიროა და დიტს სიკეთს გვიშვრება, ძრიერ
ცუდი იქნებოდა რომ უბრძოლველად დავრჩნდოდა
ვით უბრძოლველად ჩვენს სულში ვერ დაისახებოდა
ლვთის შიში და სიწმიდე. თვითონ ტმერთი რო იმ გვა-
რად გვაძლევდეს მოძრვრებას, დარწმუნებული ვიყოთ,
რომ ეს მოძრვრება მისგან არის, მაშინ ხომ დიდის სიამოვ-
ნებით და ძალდაუტანებლად დავემორჩილებოდით მას.
აკი გვყვანან კიდეც ჩვენ ასეთი მოძრვრები ერთია ბა-
კირება და მეორე — საზოგადოდ ყოველგვარი უბედური
შემთხვევა ცხოვრებაშია.

სამართლე და სიცრუე.

ნაკლულევანების ქონა, რასაკვირელია, ცუდი;
მაგრამ უფრო უარესი ის არის, როცა ადამიანს აღარა
სურს თავისი ნაკლულევანების ცნობა, ამისთანა შემთ-
ხვევაში იგი თავის ძველს ნაკლულევანებას ახალსაც
უმატებს. ჩვენ ხშირად ვცდილობთ მოტყუებით მოვიპო-
ვოთ პატივის ცემა და სიყვარული საზოგადოების წინა-
შე. თვითონ ჩვენ ძალიან ვჯავრობთ, როცა სხვები მო-
ტყუებით ჩვენგან ისეთის პატივისცემს ითხოვენ, რომ-
ლის ლირსნი არ არიან როდესაც სხვები ჩვენს ნაკლუ-
ლევანებას გვიჩვენებენ, ამით დრავითარს ცუდს არ ვვი-
შვრებიან, რადგან ჩვენის ნაკლულევანების მიზეზი თვი-
თონ ჩვენა ვართ და რა ისინი. პირიქით, ასეთი ადა-
მიანები ჩვენ დიდს სიკეთს გვიშვრებდან მით, რომ გვი-
წევიან გავიგოთ ჩვენი ცოდვები. თუ მართლა ლირსნი
ვართ ზიზლისა, მაშინ რაღაზე დავემდუროთ იმათ, რომ-
ლებსაც ვუჯავრებით ჩვენ, როგორც საძაგლები; და ან-

რატომ ირ გვიყვანს წევნ სიმართლე და მისი მთქმელი? რატომ გვირჩევნიშვ რამ სხვები შესულნენ ჩვენ უსახებ? რატომ ფართ კმაყოფილია როცა ჩვენზე იმის უკერესს აზრს შეადგენუნ, რასწ ლარსნია ვართოზატომ ვხა- რობთ და გვენატრება პრივის ცემა ისეჭის ღირსების- თვის, რომელიც ჩვენ სრულიად არ მრავეპოვება უს- არ ვარგა და არც შეიძლება სიცრუის ჰაცივის ცემა; არ ტრულ სიმართლის წინაშეც მუხლების მოდრე- კა უგუნჭარებია. სიმართლე, ქრისტიანულს ციყვარულს მოკლებული, არ არის სუკეთე და ვერც ვერავითარ კე- თილისადმი ვერ მიიყვანს ადამიანს. რამდენადაც მაღლა დგას ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა, რამდენადაც სხვებზე მეტი უფლება გვაქვს, იმდენად უფრო გვიძნელ- დება სიმართლის გავება. ის ადამიანები, რომლებსაც ად- მე მოწყალებას ვუშვებით ან და შეგვიძლია რაიმე ვნება მიუაყენოთ, იშვიათად გვეტავიან გულახლილს სიმარ- თლეს მაგალითად გავლენიანსა და დიდ კაცებზე ყო- ველგან ამბობენ სხვა და სხვა ცუდს რამებს, მხოლოდ თვით იმათ კი არაფერობიან, რადგან ვერც ერთი მა- თი მახლობელთაგანი ვერ უბედავს თქმას იმის შიშით, რომ არ გააჯავრონ ისინი. ძალიან კარგად იცის ადა- მიანმა, რომ სიმართლე მარგებელია მხოლოდ იმისათვის, ვისაც ეუბნება, მაგრამ იმავე დროს იგი მავნებელია თვითონ მთქმელისათვის, რადგან ამისათვის მოიძულებენ მას: ამ სიმართლის გაუგებრობისა გამო უფრო დიდ კა- ცობა ვარდება უბედურებაში, თუმცა უბრალო ხალხში- ც არიან ისეთი, რომელთაც აღარ უყვართ, არც ლა- პარაკი და არც ყურის გდება სიმართლისა. ასეთი აშა- მიანები ატარებენ დროს ერთი მეორის დაუცხრომელს- მოტულებაში, ესენი ერთი მეორეს პირში ეყვერებიან და-

თევზის დღეში ერთმანერთს არ ეტყვიან იმას, რასაციმა-
ზე ზურგს უკან ჟმბობენ ადგითოეულმა ჩვენგანმა რომ
გაიგოს ჟველაფერი ის, რასაც იმაზე ამბობენ ზურგს
უკან უთუოდა არეოდა ჟველაფერი და ჟველუნი ერ-
თმანეთს წაეჩენებოდა ამ გვრი აღამიშნები არიან აღ-
ვსილნი სიცრუით, თეალ მაქცობით და ფარისევლობით;
ამათ არა სურთ, რომ ელაპარაკუნ სიმართლე, რადგან
თვითონაც არ ელაპარაკებიან სხვები სიმართლეს და ი
ეგ სიცრუე, — გონება და სამართლანობისაგან დაწუნე-
ბული, უფრო და უფრო რყების მათ. ერთი უმთავრესი
თვისება აღამიანისა მდგომარეობს იმაში, რომ მას უყვარს
თავისი თავი, პატივსა სცემს და სიკეთე სურს მისთვის.
მაგრამ უბედურია იგი, ვისაც მარტო თავის თავი უყ-
ვარს. ასეთი აღამიანი მოინდომებს გახდეს დიდი და ნა-
ხავს, რომ პატარაა; მოინდომებს გახდეს ბედნიერი და
იგრძნობს თავს უბედურად; მოუნდება, რომ იყოს სრუ-
ლი, მაგრამ ნახავს სავსეა უსრულობით. მოითხოვს სა-
ზოგადოებისაგან სიყვარულსა და პატივის ცემას, მაგრამ
დარწმუნდება, რომ მისმა ნაკლულევანება უკუაქცევს
მისგან ხალხს. მაშინ იგი თავისი სურვილს, რო ვეღარ
შეასრულებს, აღივსება ზიზღით ხალხზე და საშინელს
საქმეში ვარდება: იძულებს სიმართლეს, უწყებს მას დე-
ვნას და უნდა მთლად მოსპოს იგი, მაგრამ ამის ასრუ-
ლება მას არ შეუძლია; და ი ცდილობს დაამახინჯოს
და გარუცნას ჰეშმარიტება, როგორც თავისთვის, ისე
სხვებისათვისაც იმ ღმედით, რომ ამ გზით და ხერხით
დამატოს თავისი ნაკლულევანება. ჩვენ უნდა ვუმადლო-
დეთ იმათ, რომელნიც ჩვენს ნაკლულევანებას ვვიჩვენე-
ბენ. მართალია, ასეთის მხილებით ჩვენი ნაკლულევანე-
ბანი, სრულიად არ ისპობა ჩვენშე მათი სიმრავლისა დამო,

მაგრამ როდესაც ჩვენ ვიცით ჩვენს წაკლულევანება, ვშეოთვთ, ვეღარ ვისვენებთ სულიერად, სინიდისი არ ჩუმდება და ვცდილობთ გრვსწორდეთ და გავნთავასუფლდეთ ჩვენის ცდომისა და ნაკლულევანებისაგან.

ვინ მსჯელობს სწორედ?

როდესაც ჩვენ კოჭლსა ვხედავთ, ჯავრი არ მოგვდის ამისათვის, მაგრამ ვისაც ჭყუა უკოჭლობს, უსათუოდ გაგვაჯავრებს. რატომ? — იმიტომ რომ ფეხით კოჭლი აღზრ მალავს, რომ კოჭლია, ჭყვით კოჭლი კი, უთურდები იტყვის, რომ აქტონ მართალია და სხვები კი ცდებიან. ეგ რომ ასე არ იყოს, მაშინ ჭყუით კოჭლსაც ისე შევიძრალებდით, როგორც ფეხით კოჭლს. ეპიკოტი? კითხურობს: „რატომ არ მოგვდის გული, როცა გვტრივიან თავი გტკივაო, მაგრამ ნამდვილად კი არა გვტკივა? ამავე დროს კი საშინლად ვჯავრდებით, თუ გვითხრეს ჩვენ მართალ არ ვამბობთ და სწორედ არ ვმსჯელობთ?“ — რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ, პირველ შემთხვევაში ჩვენ სრულიად დარწმულებული ვართ, რომ თავი არა გვტკივა, მაგრამ ის კი არ ვიცით დარწმუნებით, მართალს ვამბობთ, თუ ვცდებით, სწორად ვმსჯელობთ, თუ არა როდესაც სხვები თანხმანი არ არიან ჩვენს რომელსამე საქმეში, მაშინ ასე გვგონია, რომ ისინი სცდებიან და არა ჩვენ. ნუ თუ ასე არ უშროთება ხომალდში მჯდომასაც. როცა იგი ხომალდით ზღვაში მისურავს, ასე ჰქონია, — ზღვის ნაპირები მოძრაობს და არა თვითონ. რომ ნამდვილად გაიგოს, თუ ვინ მოძრაობს აუცილებლად საჭიროა თვითონ ზღვეს გასაგებ აღგოლოს. ცხოვრუშის საქმეშიც ასეა: აღმიანი თვითონ უნდა

იდგეს სიმართლისა და სიკეთოს მკვიდრს ნიჭდაგზე, რომ
შეიძლოს იქონიოს სწორი მსჯელობა იმაზე, თუ რას
სხადიან სხვები! როდესაც რამე საქმეს გაათავებ, იმ წამს
იგი კარგად გეჩვენება, მაგრამ რაკი დრო და უამი გაივ-
ლის, ხშირად გავიწყდება და ვერ მიმხვდარხარ, თუ რა
იყო იგი საქმე. ესევე ხდება, როცა სურათს ათვალიერებ
ან ახლოდან, ან შორედან, სურათი კარგადა სიანს მხო-
ლოდ ნამდვილის თვისის სახედველიდან. ცხოვრების საქ-
მის გარჩევის დროს უნდა იდგე, სწორედ, იმ ერთად
ერთს მხედველობის ადგილის ჟაიდგან შეკვედლის სწო-
რად მსჯელობა, თუ რა არის კარგი და რა—ავი, რა
არის ღვთიური და რა—უღმრთო! როდესაც ვზივართ
ამოძრავებულს ხომალდში და შევყურებთ რაიმე საგანს
ამ ხომალდში, მაშინ ჩვენ ველატვამნევთ ჩვენს მოძ-
რაობას; თუ განხე გავიხედეთ და დავაკირდით იმ სა-
განს, რომელიც ჩვენთან ერთად არ მოძრაობს, მაგალი-
თად ზღვის ნაპირს, მაშინ კი იმ წამსვე ვტყობილობთ
საკუთარს მოძრაობას, და და ცხოვრებაშიაც როდესაც
ყველა ადამიანი არ ცხოვრობს ისე, როგორც არიგია
მაშინ ეს ურიგობა შეუმნეველია; მაგრამ აბა ერთი ვინ-
მე გონს მოვიდეს და დაიწყოს ცხოვრება ისე, როგორც
ღმერთსა სურს, მაშინ იგი იშვიათ ვამსვე ნათლად დაინახებს
რა საზიზლტად იქცევიან სხვები.

ცრუ შორწმუნეობა და კუჭმარეტი დაფიქსირება.

ცრუ შორწმუნოება და კუჭმარეტი დაფიქსირება არ არის მათი როგორ ცალკე მოვიდეს და ისე დამლუპველია მათი როგორც ურწმუ-
ნოება. კეშმარიტი ღვთის მნახურებია ოვისუფალია ცრუ
მორწმუნებისაგან თუ კეშარიტს დავის შეანურებს, შე-

ერთა ცრუ მსროლიშვილი მაშინ ის. ლიანდვეულია. ქრის-
ტემ გვიჩვენა; თუ როგორი უნდაიყოს კვშარიტი ლეთის
მსახურება: მან გვასწავლა, რომ ურთად ერთგ განმანათ
ლებელი და გამბედნიერებელი ადამიანისა ჩვენს ცხოვ-
რებაში არის ერთმანერთის სიყვარული; ქრისტე გვასწავ-
ლის, რომ ჩვენ ბედნიერებას მოვიპოვებთ მხოლოდ მა
შინ, როცა დავიწყებთ სხვების სამსახურს და არა თავის
თავისა. უსწავლელსა და უზრალო ადამიანს განუსჯელად
სწამს ჭმერთი, ეს ასეც უნდა იყოს და არც გასაკვირ-
ველია: ღმერთმან მისუადმათ ასეთი სიყვარული და მი-
იზიდა მისდამი მათგა გულგა ღმერთი რომ, არა იზიდავა
დეს ადამიანს, მაშინ რწმენაც აფარ იქნებოდა. ადამიანის
სარწმუნოება მხოლოდ მაშინ გაიშლება, როდესაც იგი
იგრძნობს ასეთ შიზიდულებას. არ ასეთი მიზიდულების-
თვის ევედრება დავითი ღმერთსა. მოღრიკენ გული ჩემი
განცხადებისადმი შენისა და არა ანგარებისადმი არ შეამი-
ანის გულში სარწმუნოებას ნერგვას ღმერთი სინიღისე
სა და გონების შემწეობითა ძალითა და მუქარითა სარ-
წმუნოების დამკვიდრება ადამიანის გულში ჭრულად შე-
უძლებელია ჭალითა და მუქარით ადამიანს უნერგავენ.
შიშია და არა სარწმუნოებას. რიგი არ არქა და უსამართლო
ბაც იქნება, რომ გავკრიზოთ ურწმუნონი და ცოდნილნი
და უსაყველუროთ: ასეთი ადამიანები უამისტრდაც საკია-
ოდ დასჯილნი და უზედურნი არიან თავიანთის. ცოდნე
ბისაკან. ჩვენ უფლება გვექნებოდა გვესაუველურნა მხო-
ლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სარგებლობას მოვუ-
რანც ამ მხრით, მაგრამ ეს ასე არ ხდება; პირ იქით,
ამნაირი ჩვენი ქცევით უფრო დაგვაშორებთ შათა რწმენი-
საგან და ტიცს ჭრებას მივაკენებთ. ადამიანის გულში
აქვთ ჭრულებული გამისტერულებრივი უძრავი რეალური რეალური

გონება ვერა სცნობს. გული ფავისი კანონი აქვს და გონებასაც თავისი. გული დამოუკიდებელ შთაბეჭდილების მიზი ზორება. ანუ შორდება რასმე; გონება კი — მოსაზრების, საბუთებისა და კანონის საფუძველზე შოვებობს. გონება სცნობს ჭეშმარიტებას, გული კი გრძნობს; ამიტომ სასაცილო იქნება ჩვენი შრომა იმის შესახებ, რომ შევაყვაროთ აღამიანებს მოყვასი სხვა და სხვა მოსაზრებებით, კანონებითა და საბუთებით. ჭეშმარიტი ქრისტიანებს სურს სიკეთე არა მხოლოდ მოყვასისათვის, არამედ მტრისთვინაც, და აგრეთვე არა თუ საკუთარის მტრისათვის, არამედ ლვთის მტრისთვინაც. აი ამიტომაც ხალხის სიყვარული კმაყოფილების ნაცვლად ხშირად ტანჯვასაც მიაყენებს ქრისტიანებს. რამდენადაც ჭკვიანი და კეთილია აღამიანი, იმდენად უფრო ამჩნევს იგი სხვის ჭკუას და გულ კეთილობას. ვთქვათ აღამიანმა სცნო ღმერთი, მაგრამ მას მის სიკეარულამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია, ესე რგი ლვთის ნების შესრულებამდე. ჭეშმარიტი სიბრძნე გვასწავლის, რომ ლავემსგავსოთ ბოვჭებს. ქრისტეს მოძღვრება ბავშვებსაც იმდენსავე ცოდნას აძლევს, რამდენსაც დიდები ძლივს პოულობენ. მეცნიერების შემწეობით. ქრისტეს სწავლით ღმერთი არის ღმერთი სიყვარულისა და ნუგეშისა, იგი აღავსებს ჩვენს სულს და ბატონობს მასზე. იგი გვაგრძნობინებს. ჩვენს უსუსურობას და ჩვენსავ სიღიადეს. ღმერთი უერთდება მორწმუნეთა სულს, აღავსებს მას სიხარულით, ნდობით და სიყვარულით, და სრულდად უნიჭოდა ხდის მისს მორწმუნეს სხვა რამეტმანისადგის, გარდა მისის მსახურებისა.

რაში მდგრაქეობის კუთხიდან, რა არას დათხას სათხოე

ვინც გინდა იყოს, გონიერი თუ უგუნური, ყველას
ენატრება ბეღნიერება, მხოლოდ ბეჭნიერებად ერთს მი-
აჩნია სხვა და მეორეს სულ სხვა. ერთიცა და მეორეც
თავის მტრებად სთვლიან იმათ, ვინც დაუშლის ამ ბეღ-
ნიერების მოპოვებას. ერთი დიდის ხალისით მიღის ომში,
მეორე კი ემალება მას; ორთავ შემთხვევაში მათი პი-
წრაფება გამრწვეულია. თავიანთ თავისათვის საკეთის
სურვილით ის სურვილი; რომ ადამიანშა თავის თავს,
სიკეთე, მღუტანოს, არის მიზეზი მთელის. მისის ყოფა-
ქცევისა. თვით თავის შკვლელიც იძირტოვ იკლავს თავს
რომ ჰეონია; ვითომ უკეთესია მისთვის, რომ ცოცხალი
არ იყოს. ამავე დროს ჭი უსტრატეტიკობი არსად და
არას დროს არავას ჭი მიუღია ის სიკერტ და ბეღ-
ნიერებათ რომელსაც შველა ჩვენგაზი ასე ეტანება. ვან
არის ისეთი ადამიანი, რომ თავის ბელს არ ემდუროდეს
უფროსები და ხელ ქვეითნი; მდიდარნე და ლარიბნი, მო-
სუცებულნი და ჯხალგაზდანი, ძლიერნი და სუსტნი,
მეკრიერნი და უმეტარნი, ჯან-ჯალნი და სნეულნი, ყველ-
ლანი უკმაყოფილნი არიან და ყოფილწ ყოველგან
ყველა. ქვეყანაში, ყოველს დროს, ყოველს წლიწვანება-
სა და ყველა პირობებში. კაცს მარტ ჰეონია, რომ ასეთს
ხანგრძლივსა და დაუღალავს გამოყდილებას უნდა, და-
ერწმუნებინა ადამიანები, რომ ასეთი გზით სრკეთებდე
და ბეღნიერებამდე ვერ მიაღწევენ. მაგრამ არა, გამოც-
დილობა ველარა წვრთნის მათ. ისინი სულ იმ იმედით
არიან, რომ მომავალში უკეთ წაფა საქმეო, იი ასეთი
ახლანდელი დროთვე უკმაყოფილო, ადამიანები თავს ატ-
ყუებენ მომავალ დროის იმედით, და უბედურობიდან

უბედურობაში გადადიან და ყოველგვარ უბედურობის
დასასრული ხომ სიკეთებისა. იმათვის, რომელნიც ღვთის
მორწმუნები არ არიან. ადამიანები იშვიათად ცხოვრო-
ბენ მიმდინარე დროს; ისინი ან გაუსწრობენ მომავალს
დროს, ოცნებობენ მასზე და ნატრობენ, რომ მალე
დადგეს ეგ უკეთესი დრო. ან და მოიგონებენ ხოლმე
წარსულს და ნალვლობენ, რომ ის ასე ჩქარა გაქრა.

მერე რა სისულელე და ამათა იმ დროების მოგო-
ნება და ნატვრა, რომელიც ჩვენ აღარ გვეკუთვნის. გა-
საჟვირი ის არის, რომ სრულიად არ ვფიქრობთ იმ დრო-
ზე, რომელშიაც ამ წამში ვცხოვრობთ და რომელიც
მხოლოდ ჩვენს ხელშია. ადამიანი ახლანდელს დროს ასე
ეპყრობა; თუ იგი უსიამოვნოა მჩსთვის, თვალ დახუ-
ჭულად გვერდს აუქცევს და, თუ სასიამოვნოა, მაშინ
ნალვლობს, რომ მისთვის ასევს სასიამოვნო დროს მალე
ბოლო მოეღება ადამიანები უქმაყოფილო არიან ახლან-
დელის დროთი და ყოველივე იმით, რაც მათ ემართებათ
ამ მიმდინარე დროს, თუმცა კი ასეთი თვევადასავალი
დამრკიდებულია თვით ადამიანებისაგან. ასეთი ადამია-
ნებრ თავს მომავლის იმედით ინუგეშებენ, განკარგუ-
ლებასაც ახდენდენ მომავლის შესახებ. თავიანთ წარმოდ-
გენით და ის კი უიწყდებათ და არ იციან, დადგება თუ
არა მათვის ასეთი სანატრული მომავალი დე თითო-
ეულმა ადამიანმა კარგად გაშინჯობს თავისი აზრი და და-
ნახავს, რომ იგი უმეტესად გართულია წარსულისა ან
მომავლის ფიქრით და ახლანდელ დროზე სრულებით არ
ზრუნავს — და, თუ ცოტათი ზრუნავს, ისიც იმიტომ,
რომ ამით მხოლოდ მომავალი მოიმზადოს. აქედან ცხა-
დადა სჩანს, რომ ჩვენ ეხლა არა ვცხოვრობთ ისე, რო-
გორც გვინდა, არამედ იმედი გვაქვს შემდეგში ვიცხოვ-

როთ. ამ ნაირად ვეძებთ რა ბედნიერებას მოძველში, თავის დღეში აღარა ვართ ბედნიერი და კმაყოფილი აწ-
მყოში. ოხ, რა კარგადა გრძნობს თავს ის კაცი, რო-
მელმაც, ამ წუთი სოფლად ბედნიერების ძებნით მოქან-
ცვის შემდეგ, გაუშოდა ხელი ქრისტეს!

ზოგიერთები ეძებენ ბედნიერებასა და სიკეთეს სხვე-
ბის უფროსობასა, ბრძანებლობასა და უფლებაში, სხვე-
ბი—მეცნიერებაში და ზოგიც გემოთ მოყვარეობაში. მაგ-
რამ ვინც დაახლოვებულია სიკეთესა და კეთილთან, მას
კარგად ესმის, რომ ბედნიერება არ მოიპოვება იმის-
გან, რის შეძენა და დაუფლება მხოლოდ ზოგიერთებს
შეუძლიათ—და არა ყველას ერთად. მათ ესმით, რომ
კეშმარიტი კეთილი, სიკეთე ისეთი რამ არის, რომ მისი
შეძენა ყველას თანასწორად, გაუყოფელად და შეუშუ-
რებლად შეუძლია. კეშმარიტად კეთილი და სიკეთე
ისეთია, რომ იგი არავის დაეკარგება, თუ თვითონ არ
ისურვა მისგან მოშორება. ამბობენ: „შედი შინაგან შენ-
სა და იპოვნი მოსვევენებასაო“. მთელი სიმართლე არ
არის ამ ნათქვაში. არიან ამისი წინააღმდეგი მოაზრე-
ნიც, — ისინი ამბობენ: „მოშორდი თავის თავს,—ეცადე,
რომ დავიწყებას მისცე თავი და შექცევა გართობაში
იპოვი ბედნიერებასაო!“ არც ეს აზრია მართალი; იმი-
ტომ რომ ამ გზით შეუძლებელია კაცმა თავი დაახშიოს
თუნდა მარტო ავადმყოფობას. სულიერი მოსვენება და
ბედნიერება არ არის არც შინაგან ჩვენსა და არცა გა-
რეშე; არა, იგი არის მხოლოდ ლეთისაგან, რომელიც
არის შინაგან და გარეგან ჩვენსა. მარტო ის არა
კმარა, რომ ლერთსა ჩვენ ვსცნობთ ქრისტეს შემწეობით;
არა, ქრისტეს შეუწევნელად ვერაფერს ვერ ვიცნობთ.
ქრისტეს მოძლვრების გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია გაგე-

ბა ვერც ჩვენიկ ცხოვტებისა, ვერც სიკვდილისა, ვერც
ლვთისა და ვერც თავის თავისა. ქრისტეს მოძღვრების
დაუხმარებლად ჩვენ არაფერი არ ვიცით და ვერაფერს.
ვერ ვხედავთ; უქრისტეოდ ჩვენთვის ყოველივე ბნელი
და დახლართულია. ქრისტეს მოძღვრება რომ არ ყო-
ფილიყო, ადამიანი, ჩაიფვლებოდა ბიჭიერებაში, უბე-
დურობაში, ცომასინგლეში, სასოწარკვეთილებასა და
სიკვდილში. მაგრამ ქრისტეს მოძღვრების ცოდნით და
შესრულებით ადამიანები თავისუფლდებიან ყოველი ამი-
საგან. ქრისტესაგან წარმოსდგება მთელი ჩვენი სათნაება
და ნეტარებჭ ქრისტეს უმოძღვროდ ადამიანები დასკამ-
დნენ ერთმანეთს, ქვეყნა გარტყვნებოდა და ჯოჯოხე-
თალ გადაიქცეოდა! ქრისტე იზიდავს თავისკენ მთელს
კაცობრიობას. რაც უნდა მდგომარეობა და პირობებში
იყოს ჩამდგარი ადამიანი, სახარება აძლევს მას წუგეშსა.
კეშმარიტი ბუნება კაცისა, კეშმარიტი კეთილი, სათნა-
ება და რწმენა ლვთისა არისნ გადაბმულები ჩვენს გონე-
ბაში განუყრელია.

1
1 მეტად უფრო უცილეს დარღვევა
თავის 6316. ძმენები მდგრადი, თუ ძეგლით
არამოცვა დამატებულ ძმენი იმოახერხებულ ხორ
ის თავის მიერ მდგრადი უცილეს მდგრადი ძმენი.

ଓঁ শি মু নু